

ბუბა ბაღდავაძე¹

ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე სამართლებრივი რეაგირების გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოსთვის

Challenges and Prospects for Legal Response Against Unilateral Trade Measures for Georgia

აბსტრაქტი

2006-2013 წლებში რუსეთის ფედერაციის მიერ ქართულ პროდუქტებზე გამოყენებულმა ემბარგომ მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა ქვეყანა. მას შემდეგ, რაც რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, საქართველოს გაუჩნდა მნიშვნელოვანი ბერკეტები ცალმხრივი სავაჭრო ზომებისგან თავის დასაცავად. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია წარსულში გამოყენებული ზომების სამართლებრივი შეფასება და ამ ზომებისგან დაცვის სამომავლო პერსპექტივების გააზრება. ასევე, გარდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციით შექმნილი სამართლებრივი მექანიზმებისა, ხაზგასასმელია საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების როლი ცალმხრივი ზომებისგან დაცვის კუთხით, რადგან ქვეყანას აქვს თავისუფლება თავად ასახოს დაცვის მექანიზმები სამომავლოდ დასაღებ შეთანხმებებში. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, რაც რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ რუსეთის ფედერაციის მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დატოვების საკითხის ინიცირებას უკავშირდება, კიდევ უფრო ზრდის საერთაშორისო ხელშეკრულებებით უფლებათა დაცვის როლს.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, სააპელაციო პალატა, თავისუფალი ვაჭრობა.

Abstract

The embargo imposed on Georgian products by the Russian Federation in 2006 posed a significant challenge to the country. Since Russia became a member of the World Trade Organization, Georgia has gained significant leverage to protect itself from unilateral trade measures. It is important for the country to make a legal assessment of the measures employed in the past against Georgia and to understand the prospects of protection from these measures. Also, in addition to the legal mechanisms established by the World Trade Organization, the role of free trade agreements, concluded by Georgia, in terms of protection against unilateral measures shall be highlighted, as the country has the freedom to reflect the protection mechanisms in future agreements. Recent developments, including the initiation of the Russian Federation to leave the World Trade Organization after the Russia-Ukraine war, further increase the role of protection of rights under international treaties.

Keywords: World Trade Organization, Chamber of Appeal, Free Trade.

შესავალი

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა გლობალიზაციის ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, მრავალმხრივი სამართლებრივი რეჟიმი თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.² ცალმხრივი სავაჭრო ზომები, თავისი შინაარსით, ეწინააღმდეგება მრავალმხრივ სავაჭრო რეჟიმს, რომელიც მეტწილად

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმებითაა განმტკიცებული. ზოგადი განმარტებით, ცალმხრივ სავაჭრო ზომებად განიხილება საკანონმდებლო და სამთავრობო ქმედებები, რომლებიც ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს განსაზღვრავს და ვლინდება ეკონომიკური საპასუხო ზომების, სანქციების, ბოიკოტის, ბლოკადის ან ეკონომიკური ომების ფორმით. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ზომების მოხსენიებისას

¹ თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი, ელ.

ფოსტა: bbaghdavadze170796@gmail.com.

² HERDEGEN M., *Principles of International Economic Law* (1st Edition), Oxford University Press, 2013, p. 20.

ტერმინი „ემბარგო“ გამოყენებული, რომელსაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებებით შექმნილი სისტემა არ იცნობს და მის შინაარსს კონკრეტულ სამართლებრივ დანაწესებსა და პრინციპებში აქცევს.³

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, ცალმხრივ სავაჭრო ზომებად განიხილება ის სავაჭრო ზომები, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვაჭრობის რეჟიმით გათვალისწინებულ შესაბამისი შეტყობინების ან თანამშრომლობის ვალდებულებებს, არ არის გამოყენებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის მექანიზმის შესაბამისად,⁴ ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ეკონომიკური ზეწოლის მექანიზმად ან ხასიათდება მიკერძოებულობით, გამჭვირვალობის ნაკლებობითა და დაუსაბუთებლობით და ეფუძნება მხოლოდ ზომის მიმღები ქვეყნის შეფასებებს. ძლიერ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას, ამ ტიპის ზომებზე ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებული ქვეყნებისთვის და გამონაკლისი არც საქართველოა.

საქართველოს წარსულმა გამოცდილებამ, რომელიც ძირითად შემთხვევაში მისი მეზობელი სახელმწიფოს - რუსეთის ფედერაციის არაპროგნოზირებად ქმედებებთან იყო დაკავშირებული, 2006-2013 წლებში, ნათლად აჩვენა ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე სამართლებრივი რეაგირების გამოწვევები.⁵ 2012 წლიდან რუსეთის

ფედერაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრია,⁶ რაც მნიშვნელოვან ბერკეტებს ქმნის მრავალმხრივ ფორმატში სავაჭრო დავების გადაწყვეტისთვის. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, 2011 წელს, „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ გაფორმებული შეთანხმების მიმოხილვაც.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ის სამართლებრივი პრობლემები, რომლებსაც საქართველო აწყდებოდა წარსულში, მის მიმართ ცალმხრივი სავაჭრო ზომების გამოყენებისას. მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო, 2013 წლის შემდგომ, საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებში წარმოქმნილ პრობლემებს. მოცემული იქნება საქართველოს წინააღმდეგ დღემდე გამოყენებული ცალმხრივი სავაჭრო ზომების სამართლებრივი ანალიზი და მომავალში, მსგავსი ზომების გამოყენებაზე სამართლებრივი რეაგირების პერსპექტივები. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილი საერთაშორისო რეჟიმის პარალელურად, წინამდებარე ნაშრომში, განხილული იქნება დავების გადაწყვეტის ორგანოს შესაბამისი პრეცედენტები.

თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეჟიმთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეიძინა თავისუფალი

³ NOLLKAEMPER A., *Unilateralism/Multilateralism*, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2011, §2, p. 2.

⁴ Chapter 14: Unilateral Measures, *Report on the WTO consistency of trade policies by major trading partners*, Subcommittee on Unfair Trade Policies and Measures, a division of the World Trade Organization Committee of the Industrial Structure Council, Ministry of Economy, Trade and Industry of Japan, p. 397; ხელმისაწვდომია: https://dl.ndl.go.jp/view/download/digidepo_1285940_po_2-14UniMeasuree.pdf?contentNo=28&alternativeNo=, [20.05.2021].

⁵ HUFBAUER G.C., SCHOTT J.J., ELLIOTT K.A., MUIR J., *Economic Sanctions Reconsidered* (3rd Edition), Peterson Institute for International Economics, 2008, Table 1A.2, p. 38.

⁶ Russian Federation and the WTO, Member Information, ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/russia_e.htm [20.05.2021].

⁷ „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1512898?publication=0;> [20.05.2021].

ვაჭრობის შეთანხმებებმა. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების აქტიურად გამოყენებასთან დაკავშირებული თანამედროვე ტენდენცია, გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური ეფექტისა, მნიშვნელოვან სამართლებრივ ნიუანსებსაც შეიცავს.⁸ ამ ტიპის შეთანხმებების გამოყენება საქართველოს მიერ, ალტერნატიული ბაზრების ათვისებასთან ერთად, გარკვეული სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფის საფუძველიც შეიძლება იყოს ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირებისთვის.

2022 წელს განვითარებულმა მოვლენებმა, რაც უკრაინის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების ფორმით იყო გამოხატული, ახალი რეალობის წინაშე დააყენა საერთაშორისო ვაჭრობის სისტემა და მათ შორის საქართველოც. ამ ყველაფრის ფონზე, რუსეთის ფედერაციაში აქტიურად განიხილება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დატოვების შესაძლებლობები,⁹ რაც საკითხს მრავალმხრივი სავაჭრო რეჟიმით შექმნილი ბერკეტებიდან საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის რეგულირების სიბრტყეში გადაიტანს. ნაშრომში დასკვნის სახით წარმოდგენილი იქნება ის სამომავლო პერსპექტივები, რომლებიც ორმხრივი და მრავალმხრივი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში შეიძლება გამოიყენოს საქართველომ ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის.

1. ცალმხრივი სავაჭრო ზომები ზოგად საერთაშორისო სამართალში

ზოგად საერთაშორისო სამართალში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა ცალმხრივი სავაჭრო ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ზოგადი აკრძალვა, რომელიც ამ ტიპის ზომებთან იქნებოდა დაკავშირებული არ არსებობს.¹⁰

აღმოსავლეთის ბლოკისა და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები აქტიურად უჭერდნენ მხარს იდეას - გაეროს ქარტიის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი განმარტებულიყო იმგვარად, რომ ძალის გამოყენების აკრძალვის კონტექსტში, სიტყვა „ძალა“-ში (force) ნაგულისხმევი ყოფილიყო ეკონომიკური ზეწოლა (იძულება, Coercion). საბოლოოდ, გაეროს ქარტიის მოსამზადებელი სამუშაოების (*travaux préparatoires*) დროს გაკეთებული განმარტებებით ცხადი გახდა, რომ ეკონომიკური იძულების აკრძალვა ვერ იქნებოდა მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მიზანი.¹¹

საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ, *საქმეში სამხედრო და ნახევრად სამხედრო მოქმედებები ნიკარაგუაში და მის წინააღმდეგ* (ნიკარაგუა შეერთებული შტატების წინააღმდეგ) წარმოადგინა აშშ-ს სავაჭრო ემბარგოს სამართლებრივი შეფასება და აღნიშნა, რომ მსგავსი ზომა შესაძლებელია მხოლოდ აშშ-ნიკარაგუის 1956 წლის „*მეგობრული ურთიერთობების, ვაჭრობისა და ნავიგაციის შეთანხმების*“ დარღვევა ყოფილიყო, და არა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით

⁸ KÖBELE M., Free Trade Areas, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2011, §3, p. 2; HENCKELS C., Overcoming Jurisdictional Isolationism at the WTO – FTA Nexus: A Potential Approach for the WTO, *The European Journal of International Law* [EJIL] Vol. 19 no. 3, 2008, p. 574; HILF M., SALMON T.R., Running in Circles: Regionalism in World Trade and How It Will Lead Back to Multilateralism, in FASTERNATH U., GEIGER R., KHAN D.E., PAULUS A., SCHORLEMER S.V., VEDDER Ch., *From Bilateralism to Community Interest: Essays in Honour of Bruno Simma*, Oxford University Press, 2011, p. 257.

⁹ Russia Plans to Exit World Trade Organization and Other Global Bodies, IISD, 6 June 2022; available at:

<https://www.iisd.org/articles/news/russia-plans-exit-world-trade-organization>.

¹⁰ CARTER B.E., Economic Coercion, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2009, §§1-11, p. 2-4.

¹¹ DÖRR O., RANDELZHOFFER A., Ch. I Purposes and Principles, Article 2 (4), in SIMMA B., KHAN D.E., NOLTE G., PAULUS A., WESSENDORF N. (Eds.), *The Charter of the United Nations: A Commentary*, Volume I (3rd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2012, p. 208-209.

განმტკიცებული ჩაურევლობის პრინციპის საწინააღმდეგო ქმედება.¹²

ზემოთ განხილული მსჯელობიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ზოგადი საერთაშორისო სამართალი ექსკლუზიურად არ ადგენს ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების უფლებას, შესაბამისად, ცალმხრივი სავაჭრო ზომების გამოყენება ზოგადი საერთაშორისო სამართლის მიზნებისთვის შესაძლებელია სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ფარგლებში იყოს მოქცეული.¹³

სამართლებრივი დაბრკოლებების მიუხედავად, განვითარებადი ქვეყნები კვლავ ცდილობენ ეკონომიკურ ზეწოლასთან დაკავშირებული ცალმხრივი სავაჭრო ზომები მოაქციონ ზოგად საერთაშორისო სამართალში და მხარი დაუჭირონ მისი აკრძალვის საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში ასახვას. ჩვეულებითი სამართლისთვის კარგად ცნობილი ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის, *opinion juris*-ისა და სახელმწიფოთა პრაქტიკის დამკვიდრება, ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია.¹⁴

სახელმწიფოთა ნების (*opinion juris*) გამოვლენის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები შეიძლება გამოხატული იყოს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის კონსენსუსითაა მიღებული. ასეთი ტიპის

დოკუმენტებზე პოზიციის დაფიქსირება, სამომავლოდ მბოჭავი საერთაშორისო სამართლის ნორმის წარმოშობის წინაპირობა შეიძლება გახდეს. ეს არგუმენტი მხარდაჭერილ იქნა ICJ-ის მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ *ნიკარაგუას საქმეში* და *ბირთვული იარაღით დამუქრების ან გამოყენების კანონიერების შესახებ* საკონსულტაციო დასკვნაში.¹⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ცალმხრივი სავაჭრო ზომების აკრძალვის ზოგად საერთაშორისო სამართალში განმტკიცებისთვის. ამ მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში რამდენიმე დოკუმენტი მიღებული. მათ შორისაა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 58/198, სახელწოდებით „*ცალმხრივი ეკონომიკური ზომები როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის საშუალება განვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგ*“¹⁶; გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 58/171 სახელწოდებით „*ადამიანის უფლებები და ცალმხრივი ზეწოლის ზომები*“¹⁷; ამავე სახელწოდების გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 74/154¹⁸ და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 40/3 სახელწოდებით „*ცალმხრივი ზეწოლის ზომების უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის*

¹² ICJ, *Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua*, Nicaragua v United States, Merits, Judgment, (1986) ICJ Rep 14, para. 244-245; ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/70/070-19860627-JUD-01-00-EN.pdf> [23.05.2021]; CARTER B.E., Economic Coercion, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2009, §9, p. 3.

¹³ OHLER Ch., Unilateral Trade Measures, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2012, §14, p. 5.

¹⁴ SHAW M.N., *International Law* (6th Edition), Cambridge University Press, 2008, p. 74; ICJ, *Continental Shelf* (Libyan Arab Jamahiriya/Malta), Judgment, ICJ Reports 1985, para. 27; ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/68/068-19850603-JUD-01-00-EN.pdf> [23.05.2021]; ICJ, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, Advisory

Opinion, ICJ Reports 1996, para. 64.; ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/95/095-19960708-ADV-01-00-EN.pdf> [23.05.2021].

¹⁵ TREVES T., Customary International Law, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2006, §§44-45; ICJ, *Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua*, Nicaragua v United States, Merits, Judgment, (1986) ICJ Rep 14, para. ; ICJ, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, Advisory Opinion, ICJ Reports 1996, para. 70.

¹⁶ UNGA Res. 58/198 (23 December 2003), UN Doc A/RES/58/198.

¹⁷ UNGA Res. 58/171 (22 December 2003), UN Doc A/RES/58/171; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/RES/58/171> [24.05.2021].

¹⁸ UNGA Res. 74/154 (18 December 2019), UN Doc A/RES/74/154; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/RES/74/154> [24.05.2021].

უფლებებით სარგებლობაზე“.¹⁹ ასევე, მნიშვნელოვანი დოკუმენტია „სახელმწიფოთა ეკონომიკურ უფლებათა და ვალდებულებათა ქარტია“, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის 3281 (XXIX) რეზოლუციის ფარგლებშია შემუშავებული და რბილი სამართლის ნაწილს წარმოადგენს.²⁰

დოკუმენტების ძირითადი სულისკვეთება მიემართება სახელმწიფოთა პრაქტიკას და მოუწოდებს მათ თავი შეიკავონ ცალმხრივი ეკონომიკური იძულების ზომების გამოყენებისგან. გარდა ამისა, რეზოლუციებში ხშირად გამოყენებული ცალმხრივი ზომების „ექსტრატერიტორიული“ ზემოქმედების შესახებ გაკეთებული ჩანაწერები, რაც ზოგად საერთაშორისო სამართალში, საკითხის „ეფექტის დოქტრინისა“²¹ და ჩაურევლობის პრინციპის კონტექსტში განხილვის ტენდენციას მიანიშნებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რთულია იმ ზღვრის დადგენა, თუ როდის ხდება ეკონომიკური ზეწოლა ჩარევის ტოლფასი ქმედება.²²

მნიშვნელოვანია, რომ გაეროს ფარგლებში შემუშავებული რეზოლუციების ინიციატორები განვითარებადი ქვეყნები არიან. რეზოლუციებს მხარს არ უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის

წამყვანი ქვეყნების ნაწილიც, განსხვავებით რუსეთის ფედერაციისგან, რომელიც ყველა მათგანის სასარგებლოდ აძლევდა ხმას. რაც შეეხება საქართველოს, მან რეზოლუცია 58/171-ისა და რეზოლუცია 74/154-ის წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო რეზოლუცია 58/198-თან დაკავშირებულ ხმის მიცემის პროცესს არ დასწრებია.²³ აშკარაა, რომ საკითხის შეფასებისას, გარდა სამართლებრივისა, განსაკუთრებულ როლს თამაშობს პოლიტიკური კონტექსტიც, სხვა შემთხვევაში, საერთაშორისო ვაჭრობაში არაკეთილსინდისიერი ქმედებებისა და პოლიტიკური ბერკეტების გამოყენების გამო არაერთხელ გაკრიტიკებული რუსეთის ფედერაცია²⁴ მსგავსი ქმედებებით შევიწროებული ქვეყნების უფლებების დამცველთა მხარეს აღმოჩნდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლობის პოზიციაში გაჟღერებულია, რომ რეზოლუცია სახელწოდებით „ადამიანის უფლებები და ცალმხრივი ზეწოლის ზომები“ ვერ პასუხობს მის ორიგინალ მიზანს და სანქციების გამოყენება დამრღვევი ქვეყნების წინააღმდეგ მეტად უწყობს ხელს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებიდან გადაცდომისთვის სახელმწიფოთა ანგარიშვალდებულებას.²⁵

¹⁹ UN HRC Res. 40/3 (21 March 2019), UN Doc A/HRC/RES/40/3; ხელმისაწვდომია: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G19/098/96/PDF/G1909896.pdf?OpenElement> [24.05.2021].

²⁰ UNGA Res. 3281 (XXIX), (12 December 1974), UN doc A/RES/29/3281; ხელმისაწვდომია: <http://www.un-documents.net/a29r3281.htm> [24.05.2021]; BOON K., Charter of Economic Rights and Duties of States (1974), *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2013, §10, p. 3.

²¹ Chapter 14: Unilateral Measures, *Report on the WTO consistency of trade policies by major trading partners*, Subcommittee on Unfair Trade Policies and Measures, a division of the World Trade Organization Committee of the Industrial Structure Council, Ministry of Economy, Trade and Industry of Japan, p. 409-411.

²² OHLER Ch., Unilateral Trade Measures, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2012, §17, p. 5.

²³ UNGA Official Records, (22 December 2003), UN docs A/58/PV.77, p. 17-18; ხელმისაწვდომია:

<https://undocs.org/en/A/58/PV.77> [24.05.2021]; UNGA Official Records, (23 December 2003), A/58/PV.78, p. 4; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/58/PV.78> [24.05.2021]; UNGA Official Records, (18 December 2019), UN Docs A/74/PV.50, p. 23-24; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/74/PV.50> [24.05.2021].

²⁴ MÄLKSOO L., *Russian Approaches to International Law*, Oxford Scholarship Online, 2015, p. 170-171.

²⁵ Explanation of Vote on a Resolution on Human Rights and Unilateral Coercive Measures, United States Mission to the United Nations, ხელმისაწვდომია:

<https://usun.usmission.gov/explanation-of-vote-on-a-resolution-on-human-rights-and-unilateral-coercive-measures/> [24.05.2021].

განხილული ფაქტები უკეთ აანალიზებს ცალმხრივი სავაჭრო ზომების ზოგად საერთაშორისო სამართალში ასახვის პრობლემებს. განვითარებადი ქვეყნების მცდელობა, აქციონ ეს უკანასკნელი ჩვეულებითი სამართლის ნაწილად წარუმატებელია, რადგან არ არსებობს სახელმწიფოთა ნება და თანმიმდევრული პრაქტიკა საკითხის მხარდასაჭერად. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოთა მოტივაცია განსხვავებულია ცალმხრივი სავაჭრო ზომების გამოყენებისას, ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს სახელმწიფოს რეაგირება (განსხვავებული რეპრესალიებისგან) სხვა ქვეყნის მიერ სამართლებრივი ვალდებულების დარღვევისას ან შიდა კანონმდებლობის მიღების აუცილებლობით გამოწვეული ქმედება.²⁶ ამ ტიპის ქმედებები შესაძლებელია არ ეწინააღმდეგებოდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეჟიმით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც შემდგომ თავებში უფრო დეტალურად იქნება განხილული. რაც შეეხება ზოგად საერთაშორისო სამართალს, გაეროს ქარტიის 41-ე მუხლის საფუძველზე, უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ქმედებები ან სახელმწიფოთა პასუხისმგებლობების შესახებ მუხლების მე-2 თავში მოცემული ზომები, შესაძლებელია არ გულისხმობდეს საერთაშორისო ვაჭრობის რეჟიმის საწინააღმდეგო ცალმხრივ სავაჭრო ზომებად კვალიფიკაციას.²⁷

ზოგადი შეფასებით, ცალმხრივ სავაჭრო ზომებთან დაკავშირებული გამოსაყენებელი სამართლის იდენტიფიცირება რთულია ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმებში. ამ კუთხით, ვაჭრობის მსოფლიო

ორგანიზაციით შექმნილი რეგულირების ჩარჩო წარმოადგენს *lex specialis* გარკვეულ ასპექტებში, თუმცა, აქვე, სამართლიანია აღინიშნოს, რომ ისიც საერთაშორისო საჯარო სამართლის ნაწილია და მოქმედებს მასთან ერთად, მათ შორის, განმარტების მეთოდების გამოყენებისას.²⁸

2. ცალმხრივი სავაჭრო ზომები და საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმი

ცალმხრივი სავაჭრო ზომების გამოყენება გამჭვირვალე და მრავალმხრივი პლატფორმის გარეშე, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილი რეჟიმი განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როცა გამოყენებული ზომა შეიძლება არ ხასიათდებოდეს ცალმხრივობით, თუმცა გარკვეულ ეტაპზე, არ იყოს მიღებული გამჭვირვალე პროცედურითა და ურთიერთთანამშრომლობის გზით. ასეთად განიხილება მაგალითად, უშიშროებასთან დაკავშირებული გამონაკლისები, როცა ქვეყანას შეუძლია არ გაამჟღავნოს საკუთარ არსებით უშიშროების ინტერესთან დაკავშირებული ინფორმაცია, ან შეზღუდოს რომელიმე ქვეყნის იმგვარი მოქმედება, რაც დაკავშირებულია მის არსებით უშიშროების ინტერესთან, ფეთქებადი მასალების ტრანსპორტირებასთან, საომარ მოწყობილობებთან ან მასთან დაკავშირებულ ნაწილებთან, როცა ზომა გამოიყენება ომის ან სხვა საერთაშორისო ურთიერთობებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის დროს, ან როცა სახელმწიფოს ქმედება უკავშირდება გაეროს ქარტიით გათვალისწინებულ

²⁶ OHLER Ch., *Unilateral Trade Measures*, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2012, §1, p. 2.

²⁷ *Responsibility of States for Internationally Wrongful Acts*; International Law Commission [ILC], 2001, ხელმისაწვდომია: https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/draft_articles/9_6_2001.pdf [25.05.2021]; OHLER Ch., *Unilateral Trade Measures*, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2012, §2 and 4, p. 2; United Nations, *Charter of the United Nations*, 1945, 1 UNTS XVI, Article 41, ხელმისაწვდომია:

<https://www.un.org/en/about-us/un-charter/full-text> [25.05.2021].

²⁸ PAUWELYN J., *The Role of Public International Law in the WTO: How Far Can We Go?*, in *The American Journal of International Law*, Vol. 95, No. 3, American Society of International Law, 2001, p. 539; MATUSHITA M., SCHOENBAUM T., MAVROIDIS P.C., HAHN M., *The World Trade Organization: Law, Practice, and Policy* (3rd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2015, p. 79.

საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.²⁹

3. სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმები

სავაჭრო დავების გადაწყვეტა საერთაშორისო ვაჭრობის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ თავში განხილული იქნება ის ალტერნატივები, რომლებიც ქვეყნებმა შეიძლება გამოიყენონ ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირებისთვის.

3.1. სპეციალური სავაჭრო პრეტენზიის განხილვა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კომიტეტებში

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედ ორ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კერძოდ, TBT (შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ) და SPS (შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების შესახებ) შეთანხმებებს, გააჩნიათ ზედამხედველობის განმახორციელებელი შესაბამისი TBT და SPS კომიტეტები. კომიტეტების ფარგლებში განსაზღვრულია სპეციალური სავაჭრო პრეტენზიის (STC) წარდგენის მექანიზმი, რომელიც გამოიყენება TBT და SPS შეთანხმებებით გათვალისწინებული ზომების მიღებისას. შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს მნიშვნელოვან სადისკუსიო პლატფორმას ტექნიკურ ბარიერებთან, ასევე, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისთვის.³⁰

STC-ს არსებობა TBT/SPS შეთანხმებებში ასახული გამჭვირვალობის პრინციპითაა განპირობებული. TBT-ის მე-13 მუხლი და SPS-ის მე-12 მუხლი ქმნიან კომიტეტების მიერ სავაჭრო ზომებზე ზედამხედველობის ვალდებულებებს.³¹ მათში პირდაპირ არ არის ასახული STC შექმნის შესახებ დანაწესი, რადგან მისი ფორმალური განმტკიცება ფაქტობრივად 2009 წლიდან მოხდა.³² STC არ არის არც სავაჭრო დავა და არაც წინაპირობა ვაჭრობის მსოფლიო

ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის ორგანოს მიერ საკითხის განხილვისთვის, თუმცა მისი მზარდი მნიშვნელობიდან, გამოყენების პრაქტიკიდან და ეფექტიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დავების გადაწყვეტის სისტემასთან ერთად განხილვა, რადგან STC-ის ფორმატში განხილვა სახელმწიფოთა საპირისპირო პოზიციები TBT/SPS -ის საკითხებზე.³³

3.2. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის ორგანო

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული „ურთიერთგაგების დოკუმენტი დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ“ (DSU) უზრუნველყოფს მრავალმხრივი სავაჭრო რეჟიმის მეტ ლეგიტიმურობასა და ნორმებზე დაფუძნებული, მიუკერძოებელი და მზოგადი სამართლებრივი ძალის მქონე მექანიზმის ჩამოყალიბებას. DSU წარმოადგენს 1994 წლის მარაკეის შეთანხმების დანართს. ის ქმნის დავების გადაწყვეტის ორგანოს (DSB), რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ცენტრალური ელემენტია და მრავალმხრივი სისტემის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას განაპირობებს.³⁴

DSB, თავისი შინაარსით, პოლიტიკური ორგანოა, რომელიც ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლისგან შედგება. მისი ფუნქციაა მართოს დავების გადაწყვეტის პროცესი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფოთაშორის კონსულტაციებს, უზრუნველყოს პანელის ჩამოყალიბება კონსულტაციების წარუმატებლობის შემთხვევაში, დაამტკიცოს პანელისა და სააპელაციო ორგანოს მოხსენებები, გამოიკვლიოს მოხსენებების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულება და საჭიროების შემთხვევაში, როცა სახელმწიფოთა ქმედება არ შეესაბამება პანელის ან სააპელაციო ორგანოს მოხსენებით

²⁹ GATT, Article XXI.

³⁰ *Ibid.*, p. 186.

³¹ TBT, Article 13; SPS, Article 12.

³² AMARAL A. Jr., SÁ PIRES L.M., CARNEIRO. C. L., *The WTO Dispute Settlement Mechanism: A Developing Country Perspective*, Springer Nature Switzerland, 2019, p. 122.

³³ *Ibid.*

³⁴ MERCURIO B., Why compensation cannot replace trade retaliation in the WTO Dispute Settlement Understanding, *World Trade Review*, Vol. 8, Cambridge University Press, 2009, p. 315; DSU, Article 3.2.

გათვალისწინებულ რეკომენდაციებს, გაცეს სანქციების გამოყენების ავტორიზაცია.³⁵ გარდა დავების გადაწყვეტისა, მოთხოვნის შემთხვევაში DSB-ს თავმჯდომარეს ან გენერალურ დირექტორს, *ex officio*, შეუძლია შეითავსოს კარგი სამსახურის, მორიგებისა და მედიაციის (*good offices, conciliation and mediation*) ფუნქციებიც.³⁶

საჭიროების შემთხვევაში, DSU ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის შექმნასაც საკითხის გადაწყვეტისას.³⁷ ისეთი ტიპის დავებში, სადაც მაგალითად, TBT ან SPS ზომებია გამოყენებული, ექსპერტთა მოსაზრებების მიღება დავების გადაწყვეტისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.³⁸

მას შემდეგ, რაც პანელი მიიღებს მოხსენებას, იგი დასამტკიცებლად წარედგინება DSB-ს. მოხსენების დამტკიცება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დავის რომელიმე მხარე DSB-ს არ აცნობებს მის განზრახვას სააპელაციო ორგანოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით ან თავად DSB კონსენსუსით არ გადაწყვეტს რომ არ დაამტკიცოს იგი.³⁹ ამ მხრივ DSB ერთგვარ კვაზი სასამართლო სისტემის სახეს წარმოადგენს, რადგან დამოუკიდებლად აღებული პანელის მოხსენება ავტომატურად არ ქმნის აღსრულების ვალდებულებას.⁴⁰

თუ ყველა ქვეყანა ერთხმად არ განაცხადებს პოზიციას მოხსენების არ მიღებასთან დაკავშირებით, ხორციელდება შემდგომი პროცედურები.⁴¹

პანელის მოხსენების გასაჩივრებას DSB-ს სისტემაში კასაციის ფორმა უფრო აქვს ვიდრე აპელაციის, რადგან სააპელაციო ორგანო, პანელის მიერ მიღებული მოხსენების სამართლებრივი მხარის სისწორეს აფასებს.⁴² სააპელაციო ორგანოს მიერ მოხსენების მიღების შემდგომ, კონსენსუსთან დაკავშირებული წესი კვლავ მოქმედებს, რის შემდეგაც, იწყება გაცემული რეკომენდაციების შესრულების ნაწილი.⁴³ DSB-ის მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას დამრღვევი წევრის მიერ. შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება კომპენსაცია ან ნაცვალგებითი ზომის ავტორიზაცია, რომელიც დათმობათა ცხრილის შესაბამისი ნაწილის შეჩერებით გამოიხატება.⁴⁴ ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი ზომები დროებითია. ისინი არ გულისხმობენ დარღვეული უფლების საბოლოოდ აღდგენას და დამრღვევ სახელმწიფოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რომელიმე შეთანხმების საწინააღმდეგო ზომის გამოყენების შემთხვევაში არ ათავისუფლებენ მისი შეცვლის ვალდებულებისგან.⁴⁵

3.3. საერთაშორისო არბიტრაჟები

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის სიტემისთვის არბიტრაჟებს ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნიათ, მათი მეშვეობით შესაძლებელია DSB-ს ფარგლებში მიღებული რეკომენდაციებისა და საპასუხო

³⁵ MACKENZIE R., ROMANO C.P.R., SHANY Y., SANDS PH., *The Manual on International Courts and Tribunals* (2nd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2010, p. 73.

³⁶ DSU, Article 5; MARCEAU G., Consultations and the panel process in the WTO dispute settlement system, in YERXA R., WILSON B. (Eds.), *Key Issues in WTO Dispute Settlement: The First Ten Years*, Cambridge University Press, 2005, p. 45.

³⁷ Appendix 4 to DSU: Expert Review Group.

³⁸ MARCEAU G., Consultations and the panel process in the WTO dispute settlement system, in YERXA R., WILSON B. (Eds.), *Key Issues in WTO Dispute Settlement: The First Ten Years*, Cambridge University Press, 2005, p. 38-39.

³⁹ DSB, Article 16.4.

⁴⁰ WOLFRUM R., STOLL P.T., KAISER K., *WTO - Institutions and Dispute Settlement*, Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law, 2006, p. 279; MACKENZIE R., ROMANO C.P.R., SHANY Y., SANDS PH., *The Manual on International Courts and Tribunals* (2nd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2010, p. 74.

⁴¹ *Ibid.*, 448.

⁴² DSU, Article 17.6;

⁴³ DSU, Article 17.14.

⁴⁴ MATUSHITA M., SCHOENBAUM T., MAVROIDIS P.C., HAHN M., *The World Trade Organization: Law, Practice, and Policy* (3rd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2015, p. 96.

⁴⁵ DSU, Article 22.1.

ზომების შეფასება⁴⁶ ან, DSU-ს 25-ე მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ალტერნატიული დავების გადაწყვეტის მექანიზმის როლის მორგება. ამ ტიპის დავების გადაწყვეტის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაშიც, ის არ კარგავს კავშირს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემასთან და ითვალისწინებს შეტყობინების ვალდებულებებს.⁴⁷

4. საქართველოს მიმართ წარსულში გამოყენებული ცალმხრივი სავაჭრო ზომები და მისი სამართლებრივი შეფასება

საქართველოს მიმართ წარსულში გამოყენებული ცალმხრივი სავაჭრო ზომების განხილვისას მნიშვნელოვანია პასუხი გავცეს რამდენიმე ძირითად კითხვას: რა ბერკეტები გააჩნდა საქართველოს მის მიმართ გამოყენებულ ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე ზოგადი საერთაშორისო სამართლის მიხედვით?; ქმნიდა თუ არა საქართველოსა და რუსეთის მთავრობას შორის გაფორმებული „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“⁴⁸ გარკვეულ სამართლებრივ მექანიზმებს უფლებების დასაცავად?; რა წინაპირობები უძღოდა რუსეთის ფედერაციის გაწევრიანებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში 2012 წელს?; რა ტიპის წესები მოქმედებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე?; რა სახის გარანტიებს ადგენს ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირებისთვის „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ 2011 წელს გაფორმებული შეთანხმება?; რა ტიპის ზომები იყო გამოყენებული 2006-2013 წლებში საქართველოს წინააღმდეგ?; რა სახის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები არსებობდა ამ ზომებზე საპასუხოდ?; რა ტიპის ზომები იყო გამოყენებული

საქართველოს წინააღმდეგ 2013 წლიდან დღემდე?; რა სახის რეაგირება მოჰყვა ამ ზომების გამოყენებას საქართველოს მხრიდან?; რა ტიპის დაცვით მექანიზმებს ქმნის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის ფედერაციის გაწევრიანება მის მიერ ცალმხრივი სავაჭრო ზომების გამოყენებაზე საპასუხოდ?; 2006 წლიდან დღემდე განხორციელებული ქმედებების მსგავსი პრაქტიკის გამოყენების შემთხვევაში, როგორ შეუძლია საქართველოს დაიცვას თავი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით და რამდენად ეფექტიანია ეს ინსტრუმენტები?

საქართველოს შემთხვევაში, ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირებისას, მთავარი გამოწვევა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების კომპლექსური ხასიათია, რაც სამართლებრივთან ერთად, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ძირეული ზეგავლენითაა გამოწვეული. სწორედ ამიტომ, ანალიზისას, ცალკე აღებული ერთ-ერთი ფაქტორის მიმოხილვა ვერ ქმნის ერთიან და სრულყოფილ სურათს. თავად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილი სისტემა, ჩამოყალიბებულია ისე, რომ ზემოთ მოყვანილ სამივე ფაქტორს ითვალისწინებს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების წარმართვისას.

მრავალმხრივი რეჟიმით შექმნილი სამართლებრივი ბერკეტები, რომლებიც დღეს შეიძლება გააჩნდეს საქართველოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირებისთვის, 2012 წლამდე, ვიდრე რუსეთის ფედერაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი არ გახდებოდა, ფაქტობრივად არ არსებობდა. ამის მიზეზი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის მექანიზმთან მიმართებით პერსონალური (*ratione personae*) და დროითი იურისდიქციის

⁴⁶ DSU, Article 21.3(c); MACKENZIE R., ROMANO C.P.R., SHANY Y., SANDS PH., *The Manual on International Courts and Tribunals* (2nd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2010, p. 75.

⁴⁷ DSU, Article 25.

⁴⁸ შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1211507?publication=0> [10.06.2021].

(*ratione temporis*) არქონა იყო.⁴⁹ მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეჟიმი *lex specialis*-ად მიიჩნევა გარკვეულ ასპექტებში, როგორც წინა თავებში უკვე იქნა განხილული, მასზე ჩვეულებრივ მოქმედებს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ნორმები. აქედან გამომდინარე, ქვეყანას არ შეუძლია არაწევრი სახელმწიფოს მიმართ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, სამართლებრივი დავების წარმოება.⁵⁰

სავაჭრო დავების ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმებით გადაჭრის შესაძლებლობების განხილვისას ნათლად გამოჩნდა, რომ ამ ტიპის შესაძლებლობებს ზოგადი საერთაშორისო სამართალი არ აყალიბებს. ცალმხრივი სავაჭრო ზომები, როგორც მძიმე შედეგებსაც უნდა აღწევდეს, ვერ ექცევა გაეროს ქარტიის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ფარგლებში, ასევე, არც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფორმითაა ჩამოყალიბებული. მართალია ქვეყნებს არაფერი ზღუდავთ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საკითხი გადაწყვეტიონ საერთაშორისო არბიტრაჟის, ან თუნდაც ICJ-ის მეშვეობით, მაგრამ ამ ფორმით დავის წარმოებას წინ უნდა უძღოდეს გარკვეული სამართლებრივი წინაპირობები. რუსეთის ფედერაციას არ აქვს აღიარებული ICJ-ის იურისდიქცია *ipso facto* სავალდებულოდ ICJ-ის წესდების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისად, სავაჭრო დავების გადაწყვეტისთვის, უნდა არსებობდეს ICJ-ის წესდების 36-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, როცა მხარეები თავად მიმართავენ სასამართლოს, ან როცა ამ ტიპის იურისდიქცია მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებითაა

გათვალისწინებული.⁵¹ თეორიულად და სამართლებრივი დანაწესების მიხედვით დასაშვებია, რომ მხარეებმა ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე მიმართონ სასამართლოს, თუმცა, ასეთ პროცესში რუსეთის ფედერაციის ჩართვა ფაქტობრივად გამორიცხულია პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

ვაჭრობასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებები საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის, 1994 წლის 3 თებერვალს, თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე გაფორმებული შეთანხმებითაც არსებობდა, თუმცა, ამავე შეთანხმების მე-16 მუხლი ადგენს, რომ „...შეთანხმების დებულებების განმარტებისა და გამოყენების თაობაზე წარმოშობილი დავები [უნდა გადაწყდეს] მოლაპარაკებების გზით.“⁵² შეთანხმება არ მოიცავს სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ დავების განხილვის მექანიზმს, ის მხოლოდ აწესებს, რომ „[მისი] რეალიზაციისა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სრულყოფის რეკომენდაციების გამომუშავებისათვის ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ დააფუძნონ ერთობლივი რუსეთ-საქართველოს კომისია“.⁵³ ზემოთ განხილული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სულ მცირე 2011 წლამდე, რუსეთის მიერ გამოყენებულ ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. რადგან ზოგადი საერთაშორისო სამართალი ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოთა დაცვას ცალმხრივი ზომებისგან, ალტერნატივა რჩება რბილი სამართლის ნაწილში მისი ასახვა, სახელმწიფოთა პოზიციების ინტენსიური დაფიქსირების გზით, რასაც ჩვეულებითი

⁴⁹ MACKENZIE R., ROMANO C.P.R., SHANY Y., SANDS PH., *The Manual on International Courts and Tribunals* (2nd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2010, p. 81-84.

⁵⁰ Is the WTO the only way?, Briefing Paper, WTO; ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/English/forums_e/ngo_e/po_sp66_greenpeace_wto_e.pdf [23.06.2021].

⁵¹ Articles 36(1) and 36(2), *Statute of the International Court of Justice*, 1945, UNTS;

ხელმისაწვდომია:

https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtsg_no=I-3&chapter=1&clang=en [23.06.2021].

⁵² შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე, მუხლი 16.

⁵³ *Ibid.*, მუხლი 17.

სამართლის ნორმებად გარდაქმნის პერსპექტივა აქვს, თუმცა ეს დროში გაწელილი, რთული და კომპლექსური პროცესია, რომელიც შეიძლება სულაც არ მივიდეს კონკრეტულ შედეგამდე, მით უმეტეს, მაშინ, როცა სახელმწიფოთა პრაქტიკა არაერთგვაროვანია.

2011 წელს გაფორმებული შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ ის მნიშვნელოვანი წერტილია, რომლიდანაც შესაძლებელი ხდება ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმების არსებობის ათვლა. შეთანხმება დავების გადაწყვეტისთვის ორ მნიშვნელოვან ჩანაწერს შეიცავს. პირველი ეხება შეთანხმების მხარეებისა და მესამე ნეიტრალური მხარის წარმომადგენლობით შექმნილ კომიტეტს, რომელსაც შეუძლია შეთანხმების შესრულების ზედამხედველობა და მის განმარტებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა, ხოლო მეორე ადგენს დავების საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტის შესაძლებლობას, როცა კომიტეტის ჩართულობითა და მხარეთა შორის მეგობრული მოლაპარაკებების გზით ვერ ხდება შეთანხმების მიღწევა.

ზემოხსენებული შეთანხმების პრეამბულაშივეა გაჟღერებული, რომ ის უკავშირდება საქართველო-რუსეთს შორის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის ფედერაციის გაწევრიანებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს. ასევე, ხაზგასმულია GATT-ის იმ მუხლების მნიშვნელობა, რომლებიც ტარიფების შემცირებას, დისკრიმინაციული მიდგომის აკრძალვასა და გამჭვირვალობის ვალდებულებებს ეხება. პრეამბულაში გაჟღერებულია ასევე სავაჭრო ასპექტებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ შეთანხმების (TRIPS) მნიშვნელობა და სატარიფო და არა-სატარიფო ბარიერების სფეროში ხელშეწყობის მხედველობაში მიღების აუცილებლობა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი დეტალებით შექმნილი

ბალანსი კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზე. 2011 წლის შეთანხმება იყო ერთგვარი წინაპირობა რუსეთის ფედერაციის ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის. სამართლებრივი ბერკეტების არარსებობა, ამ შემთხვევაში პოლიტიკურმა მიდგომამ დააბალანსა, რომელიც, თავის მხრივ, ისევ სამართლებრივი სივრცით იყო განმტკიცებული. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება საკმაოდ კომპლექსური პროცესია, რომელიც ბევრ ეტაპს მოიცავს. რუსეთის შემთხვევაში, მთავარი ჩამკეტი, ამ კუთხით, მარაკეშის შეთანხმების მუხლი XII აღმოჩნდა, რომელიც ხელშეკრულებაზე მიერთების პირობებს ადგენდა. მარაკეშის შეთანხმებაზე მიერთება ავტომატურად ნიშნავს ორგანიზაციის წევრობას. 1994 წლის შემდეგ, თავდაპირველ წევრობასთან დაკავშირებული (რომელიც GATT 1947-ის მხარეებს ეხებოდა) მუხლი XI აღარაა რელევანტური, რადგან დღეს ყველა ქვეყანა, რომელიც წევრობის განაცხადს აკეთებს მიერთების პროცედურას გადის. მარაკეშის შეთანხმების მუხლი XII:2-ის მიხედვით, მიერთებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრთა კონფერენცია. ის ამტკიცებს მიერთების შეთანხმების პირობებს ორგანიზაციის წევრთა ორი-მესამედის უმრავლესობით. ორგანიზაციაში, გადაწყვეტილების მიღების წესთან დაკავშირებით, მოქმედებს მუხლი IX, რომელიც ადგენს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ უნდა განაგრძოს GATT 1947-ის პრაქტიკა კონსენსუსით გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. სიტყვასიტყვითი განმარტებითა და ზოგადი შეფასებით ჩანს, რომ ორგანიზაციის წევრთა ორ-მესამედს შეუძლია მიერთების პირობები დაადგინოს, და, მათ შორის, მიერთების საკითხზეც მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა ორგანიზაციის გენერალურმა საბჭომ, 1995 წელს, ამ საკითხს მისცა სპეციფიკური განმარტება და განსაზღვრა, რომ მიერთებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, GATT 1947-ის პრაქტიკაა რელევანტური, რომელიც

კონსესუსს გულისხმობს.⁵⁴ სწორედ ამ განმარტებამ მისცა შესაძლებლობა საქართველოს, რომელიც რუსეთის ფედერაციის გაწევრიანების ერთადერთი მოწინააღმდეგე იყო, გამოეყენებინა ერთგვარი ჩამკეტი მექანიზმი.⁵⁵ საქართველოს მიმართ გამოყენებული ცალმხრივი სავაჭრო ზომების შინაარსობრივი სამართლებრივი ანალიზისა და მის საპასუხოდ გამოსაყენებელი მექანიზმების შეფასებისთვის, შესაძლებელია გამოყენებული ზომები დავით რამდენიმე ნაწილად. ერთი ნაწილი ეხებოდა პროდუქციის ტექნიკურ მახასიათებლებსა და ხარისხს, რაც TBT ან SPS შეთანხმებების ფარგლებში შეიძლება ექცეოდეს, ხოლო მეორე ნაწილი ეხებოდა ტრანსპორტის, კომუნიკაციებისა და ტურიზმის მომსახურებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, რაც გამოსაყენებელ სამართლად GATS-ს შეიძლება მოიაზრებდეს. ამასთან ერთად, GATT-ით დადგენილი ზოგადი მოთხოვნებიც შეიძლება იყოს კონკრეტული შემთხვევებისთვის რელევანტური. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, შეზღუდვა დაწესებული იყო კონკრეტული ექსპორტიორის მიმართ და არ მიემართებოდა ზოგადად პროდუქტს ან მისი წარმოშობის სახელმწიფოს.

მსჯელობის დაწყებამდე, წინასწარვე უნდა განიმარტოს, რომ 2012 წლის 22 აგვისტომდე გამოყენებულ ზომებს, DSU-ს მიზნებისთვის, ვერ ექნებოდათ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში განხილვის სამართლებრივი დასაშვებობა, ხოლო 2011 წლის ნოემბრიდან დღემდე განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს შორის გაფორმებულ შეთანხმებას, შეიძლება მოჰყოლოდა საარბიტრაჟო განხილვა დავის

შემთხვევაში, თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთი დავა ქვეყნებს შორის არ წამოჭრილა, მით უმეტეს მაშინ, როცა მრავალი წლის განმავლობაში მიუღწეველი შეთანხმება შედგა. ქვემოთ განვითარებული მსჯელობა შეეხება უკვე გამოყენებული ზომების სამართლებრივ ანალიზს და მსგავსი მიდგომის განმეორების შემთხვევაში შესაძლო რეაგირების პერსპექტივებს.

2006 წლის შეზღუდვები ღვინისა და მინერალური წყლების კომპანიებზე, ისევე როგორც 2019 წელს დადგენილი ხარვეზები, მიემართებოდა კონკრეტულ ექსპორტიორებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის იმ განმარტებასთან, რომელიც ზოგადი გამოყენების წესის სადავოობას გულისხმობს. ზოგად წესთან მიმართებით მითითება არსებობს, როგორც GATT-ის მუხლ X-ში, ასევე, SPS შეთანხმებაში. TBT შეთანხმება, თავისი შინაარსით, მოიცავს ისეთი რეგულაციების მიღებას, რომლებიც ამკვიდრებენ სტანდარტებსა და მოთხოვნებს და არ მიემართებიან კონკრეტულ ბიზნეს ოპერატორებს. წინა თავებში უკვე იქნა განხილული, რომ ზოგადი გამოყენების წესი, პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება, ამიტომ კონკრეტული გადაზიდვის ან კომპანიის მიმართ გამოყენებული შეზღუდვა შესაძლოა არ ექცეოდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგულირების მიზნებში. თუმცა, ამის საპასუხოდ, ზემოთაც აღინიშნა, რომ გადაწყვეტილება, რომელიც ცვლის მანამდე არსებულ წესს და ამკვიდრებს ახალ მიდგომას, შეიძლება აღიქმებოდეს ზოგადი გამოყენების წესად.

საინტერესოა საკითხის განხილვა GATT-ის მუხლი X-ის ჭრილშიც. DSB-ის ფუნქცია არ არის კონკრეტული საბაჟო შემთხვევების შეფასება, არც ქვეყნების შიდა კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული მოქმედებების სისწორის ანალიზი, თუმცა მუხლი X:3(a) მაინც ადგენს

⁵⁴ WOLFRUM R., STOLL P.T., KAISER K., *WTO - Institutions and Dispute Settlement*, Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law, 2006, p. 150; WTO, Decision-making Procedures Under Articles IX And XII of the WTO Agreement, Statement by the Chairman, General Council, WT/L/93, 24 November 1995; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.as>

<px?filename=q:/WT/L/93.pdf&Open=True> [23.06.2021].

⁵⁵ RACZ A., *Russian WTO Accession and the Geneva Agreements: Implications for Russia and Georgia*, Transatlantic Academy Paper Series, p. 1; ხელმისაწვდომია: <https://www.yumpu.com/en/document/read/45096116/russian-wto-accession-and-the-geneva-agreements-transatlantic-> [23.06.2021].

გარკვეულ კრიტერიუმებს იმასთან დაკავშირებით, რამდენად სწორადაა გამოყენებული ესა თუ ის ზომა კონკრეტულ შემთხვევებთან მიმართებით. GATT-ის ფარგლებში შექმნილი დანაწესი, რომ ზოგადი გამოყენების კანონები, რეგულაციები, გადაწყვეტილებები ან ადმინისტრაციული დადგენილებები უნდა გამოიყენებოდეს ერთგვაროვანი, მიუკერძოებელი და გონივრული ფორმით, აძლევს შესაძლებლობას ქვეყნებს განიხილონ კონკრეტული შემთხვევების სამართლებრივი სისწორე. იგივე მიდგომა შეიძლება იყოს გამოვლენილი ქართული კომპანიების შემთხვევაშიც.

შინაარსობრივად ერთად, GATT-ის მუხლი X:3(b) ადგენს ასევე იმ ტიპის ვალდებულებას, რომელიც „სათანადო პროცესის“ წარმართვის სახითაა მოცემული. თუ კონკრეტული კომპანიის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას არ არსებობდა დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მას განიხილავდა, ასეთ შემთხვევაში GATT-ის პირობები ჩაითვლება დარღვევად. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საწყის ეტაპზე, ქვეყნებს შეუძლიათ სადავოდ გახადონ რამდენად არსებობდა დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ქართული ღვინისა და მინერალური წყლების კომპანიებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა და რამდენად იყო მიდგომა ერთგვაროვანი, მიუკერძოებელი და გონივრული GATT-ის მუხლი X-ის მიზნებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ X:3(b) არ ავალდებულებს ქვეყნებს ამოწურონ შიდა პროცედურები ან აწარმოონ დავა იმ შემთხვევაში, თუ თვლიან რომ მათ მიმართ გამოვლენილი მიდგომა არ იყო სათანადო. უფრო მეტიც, შესაძლებელია ორივე პროცესის პარალელურად წარმართვაც.

ზოგადი გამოყენების ზომებთან მიმართებით მნიშვნელოვანია მათი მიღებისა და გამოქვეყნების პირობების შეფასება. როგორც რუსეთის ფედერაციის „მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის

ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის“ გადაწყვეტილებებში იყო აღნიშნული, მათ მიერ ხდებოდა ახალი ლაბორატორიული მეთოდების დანერგვა, ეს მეთოდები და მიდგომები არ უნდა ყოფილიყო დისკრიმინაციული და მათზე ჩვეულებრივ გავრცელდებოდა გამჭვირვალობის ვალდებულებები. მომავალში, მსგავსი ზომების მიღებისას, შესაძლებელია STC მექანიზმის აქტიური გამოყენებაც TBT და SPS კომიტეტებში. ამ პროცესებში აქტიურადაა ჩართული უკრაინა. მას თვრამეტი STC აქვს გამოყენებული მხოლოდ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.⁵⁶ მაგალითისთვის, ერთ-ერთი ასეთი პრეტენზია სწორედ კონკრეტული უკრაინული საქონლის დაცვას ისახავდა მიზნად, რომელზეც ცალმხრივად წარდგენილი ახალი ვეტერინარული სერტიფიკატების მოთხოვნები ახდენდა გავლენას. ეს უკანასკნელი უკრაინამ გააპროტესტა, რასაც მხარეთა შორის პოზიციების გაცვლა მოჰყვა და საკითხი შემდგომში აღარ წამოწეულა.⁵⁷

GATT-ის მუხლი X:3(a) და X:3(b)-ს მიერ შექმნილი „სათანადო პროცესის“ ვალდებულებების გათვალისწინებით, საინტერესოა რამდენად შეიძლება ეს ორი ქვეპუნქტი ერთად იყოს მოხმობილი დავის ფარგლებში ან მიემართებოდეს TBT/SPS შეთანხმებებს. მნიშვნელოვანია იმის განხილვა თუ რამდენად შეუძლიათ ქვეყნებს არასათანადო მიდგომის გამოყენება გახადონ სადავო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში და ამავდროულად მიუთითონ განმხილველი ორგანოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ასევე, რამდენად შეიძლება მუხლი X-ით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოს არსებობასა და ზომის გამოყენების კრიტერიუმებს ეხება განიხილებოდეს უფრო სპეციალური ნომრების შემცველ TBT/SPS შეთანხმებებთან ერთად, მაშინ, როცა მაგალითად X:3(b) ფარავს იმ შემთხვევებს

⁵⁶ Russian Federation and the WTO, Specific Trade Concerns; ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/library/stcs/stc_maps_iframe.htm?country_selected=RUS

⁵⁷ WTO, Summary of the meeting of 15 and 17 October 2014, Committee on Sanitary and

Phytosanitary Measures, G/SPS/R/76, p. 8, paras. 3.4-3.5; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=q:/G/SPS/R76.pdf&Open=True> [23.06.2021];

რომლებიც „საბაჟო საკითხებთანაა დაკავშირებული“.

საქმეზე *European Communities - Trade Description of Sardines* განიმარტა, რომ TBT-სა და GATT-თან დაკავშირებული მუხლების განხილვისას, პირველ რიგში უნდა განიხილებოდეს TBT-ით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობა უპირატესად GATT-ისა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ GATT-ის დარღვევებს დავის ფარგლებში არ აქვთ შემდგომი განხილვის პერსპექტივა.⁵⁸ შედარებისთვის, საქმეში *United States - Certain country of origin labelling (cool) requirements* ზომა არ დაკვალიფიცირდა როგორც ტექნიკური ბარიერი, მაგრამ პანელმა X:3(a)-თან შეუსაბამობა მაინც დაადგინა.⁵⁹ რაც შეეხება X:3(b)-ს მიმართებას სხვა შეთანხმებებთან (როგორცაა TBT/SPS), ნაშრომის წინა თავებში განვითარებული მსჯელობა, რომელიც საქმეზე *United States - Countervailing and Anti-Dumping Measures on Certain Products from China* მიღებულ განმარტებას ეხებოდა ცხადყოფდა, რომ X:3(b)-ში გამოყენებული ტერმინი „საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული“ განიმარტებოდა საკმაოდ ფართოდ და მიემართებოდა იმ ხელშეკრულებებსაც, რომლებიც GATT 1947-ში ვერ იქნებოდა ნაგულისხმევი, მაგრამ მარაკუმის შეთანხმების ერთიანი სისტემიდან გამომდინარე, რომელიც რეალურად ერთი დოკუმენტია შესაბამისი დანართებით, უნდა გავრცელებულიყო ჩვეულებრივ.⁶⁰ საქმეზე

European Communities - Selected Customs Matters ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სადავოდ გახადა ევროკავშირის ფარგლებში არსებული ერთიანი საბაჟო მიდგომის არარსებობა GATT-ის მუხლ X:3(a) და X:3(b)-ზე ერთობლივად მითითებით და შესაბამისი შეფასებაც მიიღო თითოეულ მათგანზე, რაც გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ისინი არაა ურთიერთგამომრიცხავი.⁶¹ ამ მიმართულებით, საინტერესოა მიმდინარე საქმეების მიმოხილვაც. მიმდინარე საქმეში *Russia - Measures Concerning The Importation And Transit Of Certain Ukrainian Products*, რომელიც ჯერჯერობით კონსულტაციების ეტაპზეა, უკრაინა ასაჩივრებს რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული ზომების შეუსაბამობას GATT-ის მუხლებთან I:1, X:1, X:2, X:3(a), X:3(b) და XI:1, ასევე TBT და SPS შეთანხმებებთან.⁶² პარალელურად, ასევე მსვლელობაშია საქმე *China - Measures Concerning the Importation of Canola Seed from Canada*,⁶³ სადაც კანადა სადავოდ ხდის ორი კანადური კომპანიიდან რაფსის თესლების იმპორტის შეჩერებას ჩინეთში და რაფსის თესლების შეცვლილ ინსპექციის მეთოდებს. ანალოგიის სახით, იგივე ვითარება შეიძლება განვიხილოთ საქართველოს შემთხვევაშიც, როცა წარსულში ორი მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანიის მიმართ იქნა იმპორტის შეჩერების ზომა გამოყენებული, ხოლო ღვინის კომპანიებთან დაკავშირებით მათი შემოწმება განხორციელდა შეცვლილი ლაბორატორიული მოთხოვნების

⁵⁸ WTO DSB, Panel Report, *European Communities - Trade Description of Sardines*, WT/DS231/R, 29 May 2002, para. 7.15; ხელმისაწვდომია:

<https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=Q:/WT/DS/231R.pdf&Open=True> [23.06.2021].

⁵⁹ WTO, Panel Report, *United States - Certain country of origin labelling (cool) requirements*, WT/DS384/R; WT/DS386/R, 18 November 2011, para. 7.196, p. 214A, para. 8.4(b).

⁶⁰ WTO, Panel Report, *United States - Countervailing and Anti-Dumping Measures on Certain Products from China*, WT/DS449/R, 27 March 2014, para. 7.261.

⁶¹ WTO, Panel Report, *European Communities - Selected Customs Matters*, WT/DS315/AB/R, 13 November 2006, para. 309(b)(iii) and (c).

⁶² WTO DSB, Request for Consultations by Ukraine, *Russia - Measures Concerning the Importation and Transit of Certain Ukrainian Products*, WT/DS532/1, G/L/1189 G/TFA/D1/1, G/SPS/GEN/1582, 19 October 2017, paras. 13, 15, 47; ხელმისაწვდომია:

<https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=q:/WT/DS/532-1.pdf&Open=True> [23.06.2021].

⁶³ WTO DSB, Request for consultations by Canada, *China - Measures Concerning the Importation of Canola Seed from Canada*, WT/DS589/1, G/L/1324, G/SPS/GEN/1727, G/TFA/D2/1, 12 September 2019, para. 1-2; ხელმისაწვდომია:

<https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=q:/WT/DS/589-1.pdf&Open=True> [23.06.2021].

შესაბამისად. მართალია, რუსული მხარე აცხადებდა, რომ საქართველოსთან ჰქონდათ წარსულში კომუნიკაცია, თუმცა დღევანდელი მოცემულობით, აქაც არსებობს დამატებითი ბერკეტები, როცა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შეიძლება განხილვა რამდენადაა ახალი ზომა რისკების სწორი შეფასებით მიღებული, რამდენად ეფუძნება სამეცნიერო მტკიცებულებებს, ხომ არ არის არათანაბრად შემზღუდველი საერთაშორისო ვაჭრობისთვის. ამ საკითხების წამოჭრა ქართულ მხარეს დღეს უკვე შეუძლია როგორც კომიტეტებში კონსულტაციებისა და STC-ს ფორმით, ასევე DSB-ს გამოყენებისას. ისიც მნიშვნელოვანია, რომ განსხვავებით ბევრი საერთაშორისო სასამართლოსგან, DSB-ს გააჩნია უფლებამოსილება, მოიძიოს ინფორმაცია, შექმნას ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გააკეთებს მიღებული ზომის ანალიზს. ზემოთ განხილული მსჯელობები აჩვენებს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციით შექმნილი რეჟიმი მეტი გამჭვირვალობისა და სტაბილურობის გარანტია. ის საქართველოს აძლევს შესაძლებლობას მეტად იყოს ინფორმირებული, ჩაერთოს ახალი რეგულაციების შემოღების პროცესში, როცა ეს მის ექსპორტზე ახდენს ზეგავლენას, გამოიყენოს STC-ს მექანიზმი წინააღმდეგობის არსებობისას, ასევე, სადავოდ გახადოს, თუ მის კომპანიებს არ ეძლევათ შესაძლებლობა უცხო ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილებები გაასაჩივრონ და უფრო მნიშვნელოვანი, თავად იდავოს DSB-ს მეშვეობით, თუ გამოვლენილი მიდგომა, რეგულაციის გამოყენებისას არ იყო ერთგვაროვანი, მიუკერძოებელი და გონივრული.

გარდა TBT/SPS ზომებისა, საქართველოს წარსულის გამოცდილება აჩვენებს ასევე სერვისთან დაკავშირებულ შეზღუდვებსაც. 2006 წლის ფართომასშტაბიანი ზომები და 2019 წელს გამოყენებული ფრენების აკრძალვა, რაც დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, ძირითადად ტურისტულ ნაკადებს მიემართებოდა, შესაძლებელია ექცეოდეს GATS-ის ფარგლებში. ამ

შემთხვევაში ნაკლებად პრობლემურია იმაზე მსჯელობა, იყო თუ არა გამოყენებული ზომა ზოგადი ხასიათის, რადგან ის არ მიემართებოდა კონკრეტულ პირთა წრეს. რადგან GATS ფარავს ერთი ქვეყნის ტერიტორიიდან მეორეზე მომსახურების განხორციელებას (GATS-ის დანართი საჰაერო ტრანსპორტის სერვისთან დაკავშირებით), ტურიზმისა და ტრანსპორტის მომსახურებები მარტივად მოექცეოდა მისი განმარტების ქვეშ. მარტივი დასაბუთებისთვის, GATS-ის დანართი, რომელიც ეხება სახელმწიფოთა სპეციფიკურ ვალდებულებებს (GATT-ის დათმობათა ცხრილის მსგავსად), ფარავს ტურიზმისა და ტრანსპორტირების მომსახურებებსაც.⁶⁴ გამოყენებული ზომის სულისკვეთება ვერ იქნებოდა დაკავშირებული GATS-ის მუხლი XIV(a)-ს ან XIV(b)-ს მიერ დადგენილ გამონაკლისებთან, რომლებიც გულისხმობენ საჭიროების შემთხვევაში საჯარო წესრიგთან ან ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ზომებს, ასევე, შეზღუდვების შინაარსი ვერ დაფარავს GATS-ის XIV bis მუხლით გათვალისწინებულ უშიშროების გამონაკლისებს, რადგან ასეთ დროს არსებითი უშიშროების ინტერესი უნდა იდგეს სასწორის მეორე მხარეს, ხოლო საქართველოში განვითარებული მოვლენები, ვერც 2006 და ვერც 2019 წლებში, მსგავსი ტიპის შეფასებას ვერ მიიღებდა, ის არ ემუქრებოდა რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას ან მოსახლეობას, ასევე, არ უქმნიდა საფრთხეს რუსეთის მოქალაქეთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. საქმეში *United States - Measures Affecting the Cross-Border Supply of Gambling and Betting Services* სააპელაციო ორგანომ შეაფასა მუხლ XIV(a)-ში განმტკიცებული „საჭიროების“ კრიტერიუმი და განმარტა, რომ ის უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ შეფასებას, მათ შორის, ზომის მიღების წინარე ისტორიას. ის უნდა შეფასდეს ყველა კონკრეტული შემთხვევის მიხედვით და უნდა ეფუძნებოდეს ფაქტორთა ერთობლიობის შეფასების ბალანსს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, არსებობდა თუ არა სხვა ზომის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც ნაკლებ

⁶⁴ WTO, Trade in Services: Russian Federation - Schedule of specific commitments, GATS/SC/149, 5 November 2012, p. 54-66; ხელმისაწვდომია:

<https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=Q:/SCHD/GATS-SC/SC149.pdf&Open=True> [23.06.2021].

წინააღმდეგობაში იქნებოდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეჟიმთან.⁶⁵

ზემოთ განხილული მაგალითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს ჰქონდა გარკვეული პერსპექტივები GATS-ის საფუძველზე, სადავოდ გაეხადა 2019 წელს, ფრენების ცალმხრივად აკრძალვის ნაწილი, რომლის მთავარ მიზანს ტურისტული ნაკადების შეჩერება წარმოადგენდა.

DSB-ს გამოყენების აუცილებლობა ყველა კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. თავად DSU-ს მუხლი 3(7)-ც ადგენს, რომ ქვეყნებმა თავად უნდა შეაფასონ რამდენად იქნება DSU-ს მიხედვით განხორციელებული პროცედურები ნაყოფიერი. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემა რეალისტურ შეფასებებზეა დაფუძნებული. სამართლებრივი ნორმების შინაარსი ქვეყნებს პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების გაანალიზების შესაძლებლობასაც აძლევს. DSB-ს მეშვეობით წარმატების მიღწევის შემთხვევაშიც კი რთულია, რამდენად იქნებოდა საბოლოო შედეგი დადებითი. საპასუხო ზომის გამოყენების შემთხვევაში, დაზიანებული ეკონომიკა შეიძლება კიდევ უფრო დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდეს, რაც

შეეხება კომპენსაციას, ის განგრძობად შედეგს მაინც ვერ ანაზღაურებს, გარდა იმისა, რომ სავალდებულო ხასიათიც არ აქვს. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემა მაინც მაღალ ეფექტიანობას აჩვენებს და მას საკმაოდ აქტიურად იყენებს უკრაინა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.⁶⁶ გამჭვირვალობის ვალდებულება კი - ქმნის სამართლებრივი მოლოდინების დაზღვევის შანსს. ამის ნათელი მაგალითია, 2020 წელს, პანდემიის პირობებში გამოყენებული ზომების შესახებ შეტყობინებათა გაცვლის ერთიანი სივრცე, სადაც კონკრეტული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე⁶⁷ დაწესებულმა შეზღუდვებმა, საქართველოს უფრო სწრაფი რეაგირების საშუალება მისცა, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში იქნებოდა.

საერთო შეფასებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციით შექმნილი გამჭვირვალობისა და შეტყობინების ვალდებულებები, STC და DSB მექანიზმებთან ერთად, მნიშვნელოვან პერსპექტივებს ქმნიან ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირების კუთხით. დღემდე, საქართველოს არცერთი მათგანი არ გამოუყენებია სადავო სიტუაციების

⁶⁵ WTO DSB, Appellate Body Report, *United States - Measures Affecting the Cross-Border Supply of Gambling and Betting Services*, WT/DS285/AB/R, 7 April 2005, paras. 304-305; ხელმისაწვდომია:

<https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=Q:/WT/DS/285ABR.pdf&Open=True> [24.06.2021].

⁶⁶ Cases brought by Ukraine against Russian Federation, WTO; ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/dispu_maps_iframe_e.htm?country_selected=RUS&sense=e [24.06.2021]

⁶⁷ COVID-19 and trade - Russian Federation, WTO; ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/tratop_e/covid19_e/covid_details_by_country_e.htm?country=RUS [24.06.2021]; Постановление № 385, *О Введении Временного Количественного Ограничения На Вывоз Зерновых Культур За Пределы Территории Российской Федерации В Государства, Не Являющиеся Членами Евразийского Экономического Союза, И Установлении Случая, При Котором*

Временное Периодическое Таможенное Декларирование Товаров Не Применяется, 31 Марта 2020 Г., Правительство Российской Федерации; ხელმისაწვდომია:

<http://static.government.ru/media/files/0kk3yjAkAmmPZxBeCo3G98KNnc2uDDNA.pdf>

[24.06.2021]; COVID-19: Agricultural Measures, WTO; ხელმისაწვდომია:

https://www.wto.org/english/tratop_e/covid19_e/ag_trade_measures_e.htm [24.06.2021]; Решение

Евразийского экономического союза №21, 16 Марта 2020 Г.; ხელმისაწვდომია:

https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01425251/err_24032020_21 [24.06.2021];

Решение Евразийского экономического союза №41, 24 Марта 2020 Г.; ხელმისაწვდომია:

https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01425254/err_26032020_41 [24.06.2021];

Распоряжение Евразийского экономического союза №11, 25 Марта 2020 Г.; ხელმისაწვდომია:

https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01425272/err_30032020_11 [24.06.2021].

გადაწყვეტისას.⁶⁸ ქვეყანას წარსულში უკვე აქვს საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით დავების წარმოების გამოცდილება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამგვარი თავშეკავება გამოწვეულია არა ფინანსური ან სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემებით, არამედ პოლიტიკური კონტექსტის გაანალიზებით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემა, რა თქმა უნდა, არაა სრულყოფილი, რადგან ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების მიმართ გამოყენებისას აქვს გარკვეული დამაბრკოლებელი ფაქტორები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ადგენს მნიშვნელოვან ბალანსს, რომელიც გარკვეულწილად ყველა აქტორს აზიანებს მისი დარღვევის შემთხვევაში, სწორედ ამიტომ, აღსრულების მეტი ეფექტიანობით გამოირჩევა.

როგორც წინა თავებში უკვე აღინიშნა, რუსეთი განიხილავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დატოვებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმით წარმოშობილ ბერკეტებს. ამის საპასუხოდ, 2011 წელს გაფორმებული შეთანხმება და მისი საკუთარი დავების გადაწყვეტის მექანიზმი დარჩება სავალდებულო სამართლებრივ ინსტრუმენტად. ყურადსაღებია, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად ასახავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპებსაც. მიუხედავად შეთანხმებაში ასახული დებულებისა, რომ იგი წინ უძღვის რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, ამ უკანასკნელის ზეგავლენა შეთანხმების მოქმედებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დატოვებს ორგანიზაციას, არაა მითითებული და არ

უნდა წარმოშობდეს სამართლებრივ პრობლემას.

5. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები

2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში ერთ-ერთ მთავარ ამოცანად განსაზღვრულია „საქართველოსთან თავისუფალი ორმხრივი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნების რაოდენობის მაქსიმალური ზრდა, გეოგრაფიული არეალის კიდევ უფრო გაფართოება და ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა/ზაზრების დივერსიფიცირება“.⁶⁹ ამ ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადების ტენდენცია საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკაც მასზეა ორიენტირებული. სტრატეგიის დოკუმენტი მიზნად ისახავს უკვე არსებული თავისუფალი ვაჭრობის სივრცეების უფრო ეფექტიან გამოყენებასა და მიმდინარე მოლაპარაკებების გაგრძელებას.

დღევანდელი მოცემულობით, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, უკრაინა, მოლდოვის რესპუბლიკა, ყაზახეთი, უზბეკეთის რესპუბლიკა, თურქმენეთი და თურქეთის რესპუბლიკა.⁷⁰

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ან დაგეგმილია შემდეგ ქვეყნებთან: აშშ,⁷¹ კანადა,⁷² გაერთიანებული სამეფო,⁷³

⁶⁸ Member information: Georgia and WTO, *Maps: Disputes involving Georgia, Specific Trade Concerns*, ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm[24.06.2021].

⁶⁹ 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, ამოცანა 5.2., ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>[24.06.2021].

⁷⁰ საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12>[24.06.2021].

⁷¹ 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, გვ. 10

⁷² *Ibid.*

⁷³ *Ibid.*, 11.

ინდოეთი⁷⁴, კორეის რესპუბლიკა.⁷⁵ გარდა ჩამოთვლილისა, საქართველო აქტიურად ცდილობს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ვაჭრობის თავისუფლების საკითხებზე.⁷⁶

საქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მოქმედებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ორგანიზაციის ფარგლებში და რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით. ასევე, საქართველოსთვის მოქმედებს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის ფარგლებში არსებული „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმება. საქართველომ 2016 წლის 27 ივნისს ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA). შეთანხმება მოქმედებს ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, ნორვეგიის, ისლანდიის, შვეიცარიისა და ლიხტენშტეინისთვის.⁷⁷

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA), რომლის აქტიური გამოყენება მნიშვნელოვან სავაჭრო პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოსთვის სოფლის მეურნეობისა

და სამრეწველო პროდუქტების ექსპორტის გაზრდის კუთხით.⁷⁸

დღევანდელ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული სუბიექტები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციით შექმნილი მრავალმხრივი რეჟიმის პარალელურად, სულ უფრო ინტენსიურად მიმართავენ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების (FTA) გაფორმების პრაქტიკას.⁷⁹ FTA-ის მთავარი მიზანი შეთანხმების მხარეებს შორის ტარიფების გაუქმებაა, ყველა სახის საქონელზე.⁸⁰ FTA-ის სამართლებრივი რეგულირების სივრცე დროთა განმავლობაში გასცდა მხოლოდ ტარიფების გაუქმების დანაწესებს და საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა მრავალი ასპექტიც მოიცავს,⁸¹ მათ შორის, ისეთიც, რომელიც ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირებასთანაა დაკავშირებული.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და FTA-ებით შექმნილი სამართლებრივი ნორმების ურთიერთმიმართება სამართლებრივი და ეკონომიკური მსჯელობის საგნად იქცა. მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გამოწვეულია დავების გადაწყვეტის პრობლემებით, რაც სამართლის ნორმათა კონფლიქტის წარმოშობასთან არის დაკავშირებული. რადგან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებებზე, როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის ნაწილზე, ვრცელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების განმარტებასთან დაკავშირებული წესები, მათი

⁷⁴ Ibid., 15.

⁷⁵ Ibid., საქართველოსა და ინდოეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიზანშეწონილობის კვლევა დასრულდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2019 წლის 12 იანვარი,

<http://www.economy.ge/?page=news&nw=1007&s=sagartvelosa-da-indoets-shoris-tavisufali-vachrobis-shetanxmehis-mizanshewonilobis-kvleva-dasrulda>[24.06.2021]; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი საქართველოში კორეის რესპუბლიკის საქმეთა დროებით რწმუნებულს დაესუ ჩანგს შეხვდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2021 წლის 2 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/News/sagartvelos-sagareo->

[saqmeta-ministris-moadgil-\(43\).aspx?CatID=5](http://saqmeta-ministris-moadgil-(43).aspx?CatID=5)[24.06.2021].

⁷⁶ 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, გვ. 15.

⁷⁷ საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

⁷⁸ 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, ამოცანა 2.1.

⁷⁹ KÖBELE M., Free Trade Areas, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2011, §3, p. 2.

⁸⁰ Ibid.

⁸¹ KÖBELE M., Free Trade Areas, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2011, §4, p. 2.

განმარტებისას, გამოსაყენებელ სამართლად ასევე განიხილება საერთაშორისო სამართლის ნორმათა იერარქიასთან დაკავშირებული მიდგომები. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ნორმათა სტანდარტული იერარქიის ჩამოყალიბება არ მომხდარა, ის ჰორიზონტალური სისტემაა, სადაც ერთი ხელშეკრულება ისეთივე ძალის შეიძლება იყოს როგორც მეორე. წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს განიხილოს FTA-ებსა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეჟიმს შორის სამართლებრივი ურთიერთშეპირისპირება. მთავარი შედეგი, რაც მათი ურთიერთმიმართებისას ჩანს არის ის, რომ FTA-ებით გარანტირებული უფლებების დაცვისთვის არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა, რაც, იმის მიუხედავად, წარმოქმნის თუ არა სამართლებრივ ნორმათა კონფლიქტს, საბოლოოდ, საკითხს მაინც არ ტოვებს განუხილველს. რაც შეეხება იმ კონკრეტულ პირობებს, რომლებიც ექსკლუზიურად FTA-ებშია გათვალისწინებული, მათზე ჩვეულებრივ შეიძლება ვრცელდებოდეს FTA-ით გათვალისწინებული დავების გადაწყვეტის მექანიზმი, რაც არათუ ასუსტებს სახელმწიფოს ბერკეტებს რეაგირება მოახდინოს ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს მას.⁸²

დასკვნა

ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე საქართველოს სამართლებრივი რეაგირების გამოწვევებისა და პერსპექტივების კვლევამ აჩვენა, რომ დღეს არსებული მდგომარეობით, ქვეყანას რამდენიმე მნიშვნელოვანი მექანიზმის გამოყენება შეუძლია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში იმ ტიპის ქმედებებზე საპასუხოდ, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვაჭრობის რეჟიმით გათვალისწინებული შესაბამისი შეტყობინების ან თანამშრომლობის ვალდებულებებს, არ არის გამოყენებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის მექანიზმის შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება

ეკონომიკური ზეწოლის მეთოდად ან ხასიათდება მიკერძოებულობით, გამჭვირვალობის ნაკლებობითა და დაუსაბუთებლობით და ეფუძნება მხოლოდ ზომის მიმღები ქვეყნის შეფასებებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტისთვის, წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული იყო ის შესაძლო რეაგირების გზები, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო სამართალშია ჩამოყალიბებული.

ზოგადი საერთაშორისო სამართლის შესახებ მსჯელობისას გამოჩნდა, რომ არც გაეროს ქარტიის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ძალის გამოყენების ან ძალით დამუქრების აკრძალვა და არც ჩვეულებითი სამართალი არ ადგენდა მკაფიოდ იმ ტიპის ზომების არამართებულობას, რომლებიც ეკონომიკური ზეწოლის ფორმით გამოიყენება და ექსტრატერიტორიული ზემოქმედებით ხასიათდება „ეფექტის დოქტრინის“ შესაბამისად. ამ პრობლემის საპირწონედ, მიმოხილული იყო ის შესაძლებლობები, რომლებიც სახელმწიფოთა პრაქტიკისა და *opinion juris*-ის განმტკიცებით შეიძლებოდა მიღწეულიყო, თუმცა ამ მხრივ არსებულმა სირთულეებმა, კერძოდ, სახელმწიფოთა ერთიანი ნებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის არარსებობამ, გამოავლინა მოცემულ ეტაპზე პრობლემის ამ კუთხით გადაწყვეტის უპერსპექტივობა.

საერთაშორისო სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმებზე მსჯელობისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები და შესაძლებლობები. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილი STC სისტემის მიმოხილვამ, რომელიც TBT და SPS ზომების მიღებაზე ზედამხედველობისთვისაა შექმნილი აჩვენა, რომ ის საკმაოდ ეფექტიანი ბერკეტია სახელმწიფო რეგულაციათა მიმდინარე ცვლილებების პერიოდში და ხშირ შემთხვევაში სამომავლო დავების განვითარებასაც კი აზღვევს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი

⁸² HENCKELS C., Overcoming Jurisdictional Isolationism at the WTO-FTA Nexus: A Potential Approach for the WTO, *European Journal of International Law*, Vol. 19, Issue 3, 2008, p. 572-576; GRAWERT T., Conflicting Laws and

Jurisdictions in the Dispute Settlement Process of Regional Trade Agreements and the WTO, *Contemporary Asia Arbitration Journal*, 2008, p. 290-293.

არასავალდებულო ხასიათი ვერ უზრუნველყოფს საკითხის ბოლომდე მოგვარებას. რაც შეეხება უშუალოდ დავების გადაწყვეტის ორგანოს, მასზე მსჯელობისას გამოჩნდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, როგორც მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული სისტემის უპირატესობები. დავების გადაწყვეტის სისტემა რეალისტურ მოდელზეა აგებული და ყველა მხარეს დავის წამოწყებამდე ნაყოფიერი შედეგის მიღების ანალიზისკენ მოუწოდებს, რაც, თავის მხრივ გულისხმობს, რომ ქვეყნებს უწევთ შეაფასონ პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები. სახელმწიფოთაშორისი დავების დაწყებისას, პანელისა და სააპელაციო ორგანოს მეშვეობით შექმნილი გასაჩივრების სისტემა, ბევრ ქვეყანას უზიძგებს სადავო საკითხები სწორედ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში განიხილოს. უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც დავების გადაწყვეტის მექანიზმზე მსჯელობისას გამოიკვეთა, არის საკითხის მოგვარების და არა დამრღვევი მხარის ცნობის პრიორიტეტიზაცია. სწორედ ამიტომ, DSU მოიცავს ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდებსა და საარბიტრაჟო წარმოებასაც.

ნაშრომში განხილულ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლებრივ სისტემაზე მსჯელობა განვითარებული იყო იმგვარად, რომ ძირითადი ორიენტირი სწორედ საქართველოს წარსულის გამოცდილებას და მის მიმართ ცალმხრივი სავაჭრო ზომების გამოყენებას ეხებოდა. სწორედ ამიტომ იყო გაანალიზებული ის ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს მიმართ გამოვლენილი მიდგომის საპასუხო სამართლებრივ დანაწესებს შეიცავდა.

დასმული საკითხის გადაწყვეტისთვის, მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საქართველოს მიმართ წარსულში გამოყენებული ცალმხრივი ზომების ქრონოლოგიას. 2006-2013 წლებში განვითარებული მოვლენებისა და 2013 წლის შემდგომ განხორციელებული რუსეთის ფედერაციის ქმედებების აღწერამ გამოავლინა, რომ საქართველოს მეზობელი სახელმწიფო, ხშირ შემთხვევაში მიმართავდა მიკერძოებულ, დაუსაბუთებელ, მხოლოდ ცალმხრივ შეფასებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს. ამ ტიპის ზომების შეფასება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის

შესაბამისი პრეცედენტებით გახდა შესაძლებელი.

ნაშრომმა პასუხი გასცა რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას, მათ შორის, იმას, თუ რამდენად არსებობდა 2012 წლამდე, ვიდრე რუსეთის ფედერაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდებოდა, მის მიერ გამოყენებულ ცალმხრივ ზომებზე სამართლებრივი რეაგირების პერსპექტივები, და ასევე, რამდენად არის დღეს მსგავსი ტიპის ზომების გამოყენების შემთხვევაში რეაგირების შესაძლებლობა. 2011 წლის შეთანხმების გაფორმებამდე განხორციელებული ქმედებების ანალიზისას, პირველ კითხვასთან დაკავშირებით პასუხი ცალსახად უარყოფითი აღმოჩნდა, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დავების გადაწყვეტის სავალდებულო მეთოდებს არ მოიაზრებდა. 2011 წელს, „*საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ*“ შეთანხმებაში აისახა სავალდებულო არბიტრაჟთან დაკავშირებული დებულებები. ეს შეთანხმება კულმინაციურ ეტაპს წარმოადგენდა, რადგან ის იყო ერთგვარი წინაპირობა რუსეთის ფედერაციის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის. ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებული და პრაქტიკაში დამკვიდრებული კონსენსუსის წესი, რომელიც მარაკეშის სადამფუძნებლო შეთანხმებაზე მიერთებისთვის თანხმობას გულისხმობდა, კარგად გამოიყენა საქართველომ და შეიძლება ითქვას, რომ სასურველ შედეგსაც მიაღწია.

საქართველოს მიმართ გამოყენებული ცალმხრივი სავაჭრო ზომები, რომლებიც ქართული ღვინის, მინერალური წყლებისა და აგრო-პროდუქტების ექსპორტიორი კომპანიების საქონლის შეტანაზე აკრძალვას ეხებოდა, ასევე სატრანსპორტო ხაზების შეჩერებას, საფოსტო კავშირების შეწყვეტასა და ენერგორესურსებზე ფასების თვითნებურ ზრდას, ექცეოდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლებრივი ჩარჩოს ქვეშ. თუმცა, შეფასებისას ბევრი დეტალის გათვალისწინება იყო მნიშვნელოვანი, რადგან მაგალითად, კონკრეტული კომპანიების

მიმართ გამოვლენილი მიდგომა, შესაძლოა არ ყოფილიყო DSB-ში განხილვის საგანი, გამომდინარე იქიდან, რომ ის ქმედებები, რომლებიც ქართულ კომპანიებს მიემართებოდა შესაძლოა არ მიჩნეულიყო ზოგადი გამოყენების წესად. ასევე მნიშვნელოვანი იყო რეგულაციათა ერთგვაროვანი, მიუკერძოებელი და გონივრული გამოყენების ვალდებულება, საკითხის განხილველი დამოუკიდებელი ორგანოს არსებობის ვალდებულებასთან ერთად, რომელიც საბოლოო ჯამში „სათანადო პროცესის“ წარმართვის პრინციპს ასახავდა.

განვითარებული მოვლენების ანალიზით გამოჩნდა, რომ 2013 წლის შემდეგ, როცა ქართული პროდუქტები რუსულ ბაზარს დაუბრუნდა, კვლავ მოხდა ზომების თვითნებური გამოყენება, თუმცა არა იმ მასშტაბითა და ინტენსივობით, როგორც მანამდე. იმ დროს საქართველოს უკვე შეეძლო საკუთარი უფლებების დაცვა, ჯერ STC-ს მეშვეობით, შემდეგ კი DSB-ს გამოყენებით, თუმცა ასე არ მომხდარა. საგულისხმოა, რომ დავების გადაწყვეტის მექანიზმი, აღსრულების ისეთ ბერკეტებს მოიცავს, რომლებიც სახელმწიფოთა ვაჭრობის დამაბალანსებელი დათმობათა ცხრილის ნაცვალგების ფორმით გამოყენებას გულისხმობს. ასეთ დროს, მოგებული მხარეც კი, როცა ის შედარებით სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, შეიძლება არ აღმოჩნდეს უკეთეს სიტუაციაში, ვიდრე მანამდე იყო, ხოლო კომპენსაციის წესი, რომელიც აღსრულების მექანიზმშია ჩადებული, არაა სავალდებულო.

ზოგადი შეფასებით, უნდა ითქვას, რომ 2012 წლიდან დღემდე, საქართველოს შეეძლო პირველ რიგში STC-ს კომიტეტში საკითხის წამოჭრა ახალი რეგულაციის მიღებისას, როგორც ამას უკრაინა იყენებს აქტიურად. რუსეთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული კომპანიების ექსპორტირებული საქონლის ამკრძალავი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იმ მომენტამდე ცოტა ხნით ადრე, როცა აკრძალვის დაწესება მოხდა, დაინერგა ახალი პროცედურები, რაზეც საქართველოს როგორც ინფორმაციული წვდომა, ასევე კონტროლი შეიძლებოდა ჰქონოდა. ცხადია ეს პროცესი ინფორმაციული ვაკუუმის ფონზე არ წარიმართებოდა და ქართულ მხარეს მართლაც ექნებოდა იმპორტის

მოთხოვნასთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუმცა ეს არ იყო სამართლებრივ დონეზე განმტკიცებული, რაც დღეს უკვე მხოლოდ ძალის მქონე ინსტრუმენტების მეშვეობით შესაძლებელია. რეგულაციის ცვლილებებზე კონტროლის შესაძლებლობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მაინც ძალიან დიდ პერსპექტივას ქმნის, სულ მცირე, სწორი ლეგიტიმური მოლოდინების ჩამოყალიბების კუთხით. რაც შეეხება თავად დავების წარმოებას, როგორც ნაშრომში აღინიშნა, საქართველოს უკვე აქვს საერთაშორისო ინსტიტუტების გამოყენებით დავების წარმოების პრაქტიკა, შესაბამისად, პოლიტიკური სიტუაციათაც შეიძლება აიხსნას ის, რომ დავების გადაწყვეტის მექანიზმი საქართველოს დღემდე არ გამოუყენებია, ან მიზეზი შეიძლება იყოს გამოყენებული ზომების

ნაკლებდამაზარალებელი ხასიათი. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, საქართველოს გააჩნია ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე სულ მცირე შემდეგი სახის რეაგირების პერსპექტივა: 1. ჩაერთოს ახალი რეგულაციების მიღებისას განხილვებში და მიიღოს ინფორმაცია; 2. ინფორმაციის მიღების ვალდებულების არაჯეროვნად განხორციელებისა და ახალი რეგულაციის შინაარსობრივი პრობლემების გამო, TBT/SPS კომიტეტებში გამოიყენოს STC მექანიზმი; 3. უზრუნველყოს სავაჭრო ზომების ერთგვაროვანი, მიუკერძოებელი და გონივრული გამოყენების კონტროლი მისი ექსპორტიორი კომპანიების მიმართ; 4. დარღვევის შემთხვევაში მიმართოს DSB-ს; 5. უზრუნველყოს საკუთარი კომპანიები დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმებით, საბაჟო საკითხებთან დაკავშირებულ ქმედებებზე, უცხო ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში კი, რადგან საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები განიმარტება ფართოდ, ის შეიძლება ფარავდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებულ სხვადასხვა ხელშეკრულებას GATT-ის მუხლ X-თან ერთად.

ამგვარი რეჟიმით შექმნილი მოთხოვნები, მხოლოდ მცირე გამოწვევებს უტოვებს ქვეყნებს. ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად უსაფრთხოების არსებითი ინტერესის დაცვის საჭიროება ან ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის

დაცვა. ნაშრომში აღწერილმა მოვლენებმა გამოავლინა, რომ უშიშროების შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს და უნდა იდგეს ისეთი საჭიროება, როცა მაგალითად ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ან მოქალაქეებს ემუქრებათ საფრთხე. შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული ზომები, თამამად უნდა ითქვას, რომ არცერთ მათგანში არ ექცეოდა.

გარდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციით შექმნილი ბერკეტებისა, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ასევე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით შექმნილ მექანიზმებს. FTA-ების ანალიზით გამოჩნდა, რომ ისინი თითქმის იდენტურად აღწერენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციით შექმნილ გამჭვირვალობისა და შეტყობინებების ვალდებულებებს. განსხვავება, ძირითად შემთხვევაში, დავების გადაწყვეტის პროცედურულ ნაწილში გვხვდება. FTA-ებითა და DSB-ით შექმნილი კონკურენტული იურისდიქცია საქართველოსთვის არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას, რადგან ის სულ მცირე დაცვის მექანიზმის არსებობას არ გამორიცხავს და მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის თეორიულ ასპექტებს ეხება. ამგვარად, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით შექმნილი სამართლებრივი სივრცე საქართველოსთვის ცალმხრივ სავაჭრო ზომებზე რეაგირების პერსპექტივებს უფრო აძლიერებს ვიდრე რისკებს.

დასკვნაშივე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დატოვების შემთხვევაში, საგრძნობლად შემცირდება სამართლებრივი დაცვის გარანტიები, რაც საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ვალდებულებების გადააზრების საჭიროებას უფრო გააძლიერებს. ასევე, გაზრდის სხვა პარტნიორებთან სტაბილური სავაჭრო ურთიერთობების უზრუნველსაყოფად არსებული და მომავალში გასაფორმებელი სავაჭრო შეთანხმებების ეფექტიანად გამოყენების საჭიროებას.

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრად დარჩენის შემთხვევაში, საქართველოს დღეს მეტი პერსპექტივა აქვს აქტიურად გამოიყენოს

სამართლებრივი დაცვის მექანიზმები მის მიმართ გამოყენებული ცალმხრივი სავაჭრო ზომების საპასუხოდ, ვიდრე წარსულში. თუმცა, პერსპექტივებს თან ახლავს გამოწვევებიც, რომლებიც, დავების წარმოებისას, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი შეთანხმების მისადაგებასა და შემდგომში აღსრულების მექანიზმის პრობლემურობასთანაა დაკავშირებული. ამ კუთხით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები არის ახალი პერსპექტივა საქართველოსთვის, მეტი სიზუსტით განსაზღვროს ის საკითხები საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტის შედგენისას, ვიდრე ეს მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებშია ჩამოყალიბებული.

ბიბლიოგრაფია

1. HERDEGEN M., *Principles of International Economic Law* (1st Edition), Oxford University Press, 2013.
2. HUFBAUER G.C., SCHOTT J.J., ELLIOTT K.A., MUIR J., *Economic Sanctions Reconsidered* (3rd Edition), Peterson Institute for International Economics, 2008, Table 1A.2.
3. SHAW M.N., *International Law* (6th Edition), Cambridge University Press, 2008.
4. MÄLKSOO L., *Russian Approaches to International Law*, Oxford Scholarship Online, 2015.
5. MATUSHITA M., SCHOENBAUM T., MAVROIDIS P.C., HAHN M., *The World Trade Organization: Law, Practice, and Policy* (3rd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2015.
6. AMARAL A. Jr., SÁ PIRES L.M., CARNEIRO. C. L., *The WTO Dispute Settlement Mechanism: A Developing Country Perspective*, Springer Nature Switzerland, 2019.
7. MERCURIO B., Why compensation cannot replace trade retaliation in the WTO Dispute Settlement Understanding, *World Trade Review*, Vol. 8, Cambridge University Press, 2009.
8. WOLFRUM R., STOLL P.T., KAISER K., *WTO - Institutions and Dispute Settlement*, Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law, 2006.

9. MATUSHITA M., SCHOENBAUM T., MAVROIDIS P.C., HAHN M., *The World Trade Organization: Law, Practice, and Policy* (3rd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2015.
10. MACKENZIE R., ROMANO C.P.R., SHANY Y., SANDS PH., *The Manual on International Courts and Tribunals* (2nd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2010.
11. NOLLKAEMPER A., Unilateralism/Multilateralism, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2011.
12. KÖBELE M., Free Trade Areas, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2011.
13. CARTER B.E., Economic Coercion, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2009.
14. HILF M., SALMON T.R., Running in Circles: Regionalism in World Trade and How It Will Lead Back to Multilateralism, in FASTERNATH U., GEIGER R., KHAN D.E., PAULUS A., SCHORLEMER S.V., VEDDER Ch., *From Bilateralism to Community Interest: Essays in Honour of Bruno Simma*, Oxford University Press, 2011.
15. HENCKELS C., Overcoming Jurisdictional Isolationism at the WTO – FTA Nexus: A Potential Approach for the WTO, *The European Journal of International Law* [EJIL] Vol. 19 no. 3, 2008.
16. DÖRR O., RANDELZHOFFER A., Ch. I Purposes and Principles, Article 2 (4), in SIMMA B., KHAN D.E., NOLTE G., PAULUS A., WESSENDORF N. (Eds.), *The Charter of the United Nations: A Commentary*, Volume I (3rd Edition), Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2012.
17. PAUWELYN J., The Role of Public International Law in the WTO: How Far Can We Go?, in *The American Journal of International Law*, Vol. 95, No. 3, American Society of International Law, 2001.
18. CARTER B.E., Economic Coercion, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2009.
19. OHLER Ch., Unilateral Trade Measures, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2012.
20. BOON K., Charter of Economic Rights and Duties of States (1974), *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2013.
21. TREVES T., Customary International Law, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2006.
22. MARCEAU G., Consultations and the panel process in the WTO dispute settlement system, in YERXA R., WILSON B. (Eds.), *Key Issues in WTO Dispute Settlement: The First Ten Years*, Cambridge University Press, 2005.
23. KÖBELE M., Free Trade Areas, *Max Planck Encyclopedia of Public International Law* [MPEPIL], 2011.
24. HENCKELS C., Overcoming Jurisdictional Isolationism at the WTO-FTA Nexus: A Potential Approach for the WTO, *European Journal of International Law*, Vol. 19, Issue 3, 2008.
25. GRAWERT T., Conflicting Laws and Jurisdictions in the Dispute Settlement Process of Regional Trade Agreements and the WTO, *Contemporary Asia Arbitration Journal*, 2008.
26. Chapter 14: Unilateral Measures, *Report on the WTO consistency of trade policies by major trading partners*, Subcommittee on Unfair Trade Policies and Measures, a division of the World Trade Organization Committee of the Industrial Structure Council, Ministry of Economy, Trade and Industry of Japan; ხელმისაწვდომია: https://dl.ndl.go.jp/view/download/digidepo_1285940_po_2-14UniMeasuree.pdf?contentNo=28&alternativeNo=, [20.05.2021].
27. RACZ A., *Russian WTO Accession and the Geneva Agreements: Implications for Russia and Georgia*, Transatlantic Academy Paper Series; ხელმისაწვდომია: <https://www.yumpu.com/en/document/read/45096116/russian-wto-accession-and-the-geneva-agreements-transatlantic-> [23.06.2021].
28. ICJ, *Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua*, Nicaragua v United States, Merits, Judgment, (1986) ICJ Rep 14; ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/70/070-19860627-JUD-01-00-EN.pdf> [23.05.2021];

29. ICJ, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, Advisory Opinion, ICJ Reports 1996; ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/95/095-19960708-ADV-01-00-EN.pdf> [23.05.2021].
30. ICJ, *Continental Shelf* (Libyan Arab Jamahiriya/Malta), Judgment, ICJ Reports 1985, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/68/068-19850603-JUD-01-00-EN.pdf> [23.05.2021];
31. WTO DSB, Panel Report, *European Communities - Trade Description of Sardines*, WT/DS231/R, 29 May 2002; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=Q:/WT/DS/231R.pdf&Open=True> [23.06.2021].
32. WTO DSB, Request for Consultations by Ukraine, *Russia – Measures Concerning the Importation and Transit of Certain Ukrainian Products*, WT/DS532/1, G/L/1189 G/TFA/D1/1, G/SPS/GEN/1582, 19 October 2017; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=q:/WT/DS/532-1.pdf&Open=True> [23.06.2021].
33. WTO DSB, Request for consultations by Canada, *China - Measures Concerning the Importation of Canola Seed from Canada*, WT/DS589/1, G/L/1324, G/SPS/GEN/1727, G/TFA/D2/1, 12 September 2019; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=q:/WT/DS/589-1.pdf&Open=True> [23.06.2021].
34. WTO DSB, Appellate Body Report, *United States - Measures Affecting the Cross-Border Supply of Gambling and Betting Services*, WT/DS285/AB/R, 7 April 2005, paras. 304-305; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=Q:/WT/DS/285ABR.pdf&Open=True> [24.06.2021].
35. Responsibility of States for Internationally Wrongful Acts; International Law Commission [ILC], 2001, ხელმისაწვდომია: https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/draft_articles/9_6_2001.pdf [25.05.2021];
36. United Nations, Charter of the United Nations, 1945, 1 UNTS XVI, Article 41, ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/en/about-us/un-charter/full-text> [25.05.2021]
37. WTO, General Agreement on Tariffs and Trade 1994 (GATT 1994); ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/06-gatt.pdf [29.05.2021]
38. WTO, Agreement on Technical Barriers to Trade (TBT Agreement); ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/17-tbt.pdf [29.05.2021].
39. WTO, Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes (DSU), ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/28-dsu.pdf [29.05.2021]
40. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1211507?publication=0> [10.06.2021].
41. „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1512898?publication=0>; [20.05.2021].
42. *Statute of the International Court of Justice*, 1945, UNTS; ხელმისაწვდომია: https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=I-3&chapter=1&clang=en [23.06.2021].
43. UNGA Res. 58/198 (23 December 2003), UN Doc A/RES/58/198.
44. UNGA Res. 58/171 (22 December 2003), UN Doc A/RES/58/171; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/RES/58/171> [24.05.2021].
45. UNGA Res. 74/154 (18 December 2019), UN Doc A/RES/74/154; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/RES/74/154> [24.05.2021].
46. UN HRC Res. 40/3 (21 March 2019), UN Doc A/HRC/RES/40/3; ხელმისაწვდომია: <https://documents-dds->

- [ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G19/098/96/PD/F/G1909896.pdf?OpenElement](https://www.un.org/doc/UNDOC/GEN/G19/098/96/PD/F/G1909896.pdf?OpenElement) [24.05.2021].
47. UNGA Res. 3281 (XXIX), (12 December 1974), UN doc A/RES/29/3281; ხელმისაწვდომია: <http://www.un-documents.net/a29r3281.htm> [24.05.2021];
 48. UNGA Official Records, (22 December 2003), UN docs A/58/PV.77; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/58/PV.77> [24.05.2021];
 49. UNGA Official Records, (23 December 2003), A/58/PV.78; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/58/PV.78> [24.05.2021];
 50. UNGA Official Records, (18 December 2019), UN Docs A/74/PV.50; ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/74/PV.50> [24.05.2021].
 51. Russian Federation and the WTO, Member Information, ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/russia_e.htm [20.05.2021].
 52. Russia Plans to Exit World Trade Organization and Other Global Bodies, IISD, 6 June 2022; available at: <https://www.iisd.org/articles/news/russia-plans-exit-world-trade-organization>.
 53. Explanation of Vote on a Resolution on Human Rights and Unilateral Coercive Measures, United States Mission to the United Nations, ხელმისაწვდომია: <https://usun.usmission.gov/explanation-of-vote-on-a-resolution-on-human-rights-and-unilateral-coercive-measures/> [24.05.2021].
 54. Is the WTO the only way?, Briefing Paper, WTO; ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/English/forums_e/ngo_e/posp66_greenpeace_wto_e.pdf [23.06.2021].
 55. WTO, Decision-making Procedures Under Articles IX And XII of the WTO Agreement, Statement by the Chairman, General Council, WT/L/93, 24 November 1995; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=q:/WT/L/93.pdf&Open=True> [23.06.2021].
 56. Russian Federation and the WTO, Specific Trade Concerns; ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/library/stcs/stc_maps_iframe_e.htm?country_selected=RUS
 57. WTO, Summary of the meeting of 15 and 17 October 2014, Committee on Sanitary and Phytosanitary Measures, G/SPS/R/76; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=q:/G/SPS/R76.pdf&Open=True> [23.06.2021];
 58. WTO, Trade in Services: Russian Federation - Schedule of specific commitments, GATS/SC/149, 5 November 2012; ხელმისაწვდომია: <https://docs.wto.org/dol2fe/Pages/SS/directdoc.aspx?filename=Q:/SCHD/GATS-SC/SC149.pdf&Open=True> [23.06.2021].
 59. Cases brought by Ukraine against Russian Federation, WTO; ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/dispu_maps_iframe_e.htm?country_selected=RUS&sense=e [24.06.2021]
 60. COVID-19 and trade - Russian Federation, WTO, ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/tratop_e/covid19_e/covid_details_by_country_e.htm?country=RUS [24.06.2021];
 61. Постановление № 385, О Введении Временного Количественного Ограничения На Вывоз Зерновых Культур За Пределы Территории Российской Федерации В Государства, Не Являющиеся Членами Евразийского Экономического Союза, И Установлении Случая, При Котором Временное Периодическое Таможенное Декларирование Товаров Не Применяется, 31 Марта 2020 Г., Правительство Российской Федерации; ხელმისაწვდომია: <http://static.government.ru/media/files/0kk3yjAkAmmPZxBeCo3G98KNnc2uDDNA.pdf> [24.06.2021];
 62. COVID-19: Agricultural Measures, WTO; ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/tratop_e/covid19_e/ag_trade_measures_e.htm [24.06.2021];
 63. Решение Евразийского экономического союза №21, 16 Марта 2020 Г.; ხელმისაწვდომია: https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01425251/err_24032020_21 [24.06.2021];

64. Решение Евразийского экономического союза №41, 24 Марта 2020 Г.; ხელმისაწვდომია: [https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01425254/err_26032020_41\[24.06.2021\]](https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01425254/err_26032020_41[24.06.2021]);
65. Распоряжение Евразийского экономического союза №11, 25 Марта 2020 Г.; ხელმისაწვდომია: [https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01425272/err_30032020_11\[24.06.2021\]](https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/01425272/err_30032020_11[24.06.2021]).
66. Member information: Georgia and WTO, *Maps: Disputes involving Georgia, Specific Trade Concerns*; ხელმისაწვდომია: [https://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm\[24.06.2021\]](https://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm[24.06.2021]).
67. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, ხელმისაწვდომია: [https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx\[24.06.2021\]](https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx[24.06.2021]).
68. საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ხელმისაწვდომია: [http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12\[24.06.2021\]](http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12[24.06.2021]).
69. საქართველოსა და ინდოეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიზანშეწონილობის კვლევა დასრულდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2019 წლის 12 იანვარი, [http://www.economy.ge/?page=news&nw=1007&s=saqartvelosa-da-indoets-shoris-tavisufali-vachrobis-shetanxmebis-mizanshewonilobis-kvleva-dasrulda\[24.06.2021\]](http://www.economy.ge/?page=news&nw=1007&s=saqartvelosa-da-indoets-shoris-tavisufali-vachrobis-shetanxmebis-mizanshewonilobis-kvleva-dasrulda[24.06.2021]);
70. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი საქართველოში კორეის რესპუბლიკის საქმეთა დროებით რწმუნებულს დაესუ ჩანგს შეხვდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2021 წლის 2 ივნისი, ხელმისაწვდომია: [https://mfa.gov.ge/News/saqartvelos-sagareo-saqmeta-ministris-moadgil-\(43\).aspx?CatID=5\[24.06.2021\]](https://mfa.gov.ge/News/saqartvelos-sagareo-saqmeta-ministris-moadgil-(43).aspx?CatID=5[24.06.2021])